ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ჭოლა ლომთათიძე

ფასი 2 ლარი

იკითხეთ პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე



ოთხშაბათი, 27 აპრილი, 2011 №98 (5479) ფასი: 30 თეთრი

# სტრასბურის სასამართლომ სააკაშვილის რეჟიმს განაჩენი გამოუტანა

გვ.2



გირგვლიანის მკვლელების შეწყალებამ ევროსასამართლო გააოგნა

გვ.2

სააკაშვილის პროკურატურა და შსს აყალბებდნენ დაკითხვის ოქმებს და ამახინჯებდნენ ფაქტებს, მალავდნენ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს



## გირგვლიანის ოჯახს მკვლელებმა 50 ათასი ევრო უნდა გადაუხადონ!



გვ.2

# ვინ აფინანსებს ქართულ პარტიას

გვ.7



## ლავროვმა დეპუტატები აღაშფოთა

გვ.5



## ხელისუფლება რევოლუციით აღარ უნდა შევცვალოთ

გვ.4



## სააკაშვილის ეპოქა სრულდება

ერთ დროს დემოკრატიის შუქურა დიქტატორად გადაიქცა

გვ.4

## ვინ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას

გვ.5

## საპროტესტო აქციებს აზრი ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში აქვს

გვ.3



## დეპუტატები ომბუდსმენის მოსასმენად ემზადებიან

გვ.3



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ჯანდაცვის მინისტრმა მშობლებს ბავშვების აცრისკენ მოუწოდა

8 ელისო ბოლქვაძე საუკეთესოებს ეძებს

2 კვირის ბოლოდან დამატებითი ვიდეოკამერები ამოქმედდება

9 ვინ როგორ იხეირა ზამთრის სატრანსფერო სეზონისას

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გირგვლიანის ოჯახს მკვლელებმა 50 ათასი ევრო უნდა გადაუხადონ!

ნანა მიშელაშვილი

საქართველოს გირგვლიანების ოჯახის სასარგებლოდ 50 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის აზრით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე საქართველოსთვის დაკისრებული სანქცია კონკრეტულმა ადამიანებმა „საკუთარი ჯიბიდან“ უნდა გადაიხადონ.

ევროსასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს მოსარჩელე გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ 50 ათასი ევროს და



გაუთვალისწინებელი ხარჯების გადახდა დააკისრა.

ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ევროსასამართლომ ადეკვატური შეფასება მისცა მთელ ამ პროცესს და მისი გადაწყვეტილებაც ბუნებრივი იყო.

ლევან ვეფხვაძეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოსთვის დაკისრებული სანქცია უნდა გადაიხადოს არა სახელმწიფომ, არამედ კონკრეტულმა დამნაშავე პირებმა საკუთარი ჯიბიდან — მკვლელებმა, პროკურორმა, მოსამართლემ და ა.შ.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას გუშინ მთელი დღის განმავლობაში თავს იკავებდნენ მმართველი პარტიის წევრები. ბიუროს სხდომაზე მისული უმრავლესობის წევრები ამბობდნენ, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ჯერ არ იცნობენ.

სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი 2007 წლის ზაფხულში შევიდა. ადვოკატები გირგვლიანის საქმეზე ითხოვენ ევროკონვენციის მუხლების — სიცოცხლის, სამართლიანი სასამართლოს უფლების, წამების აკრძალვის და დაცვის უფლების დარღვევად ცნობას და მორალურ კომპენსაციას.

სანდრო გირგვლიანი შსს-ს თანამშრომლებმა გაიტაცეს და აწამეს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. ამ საქმეზე გამოძიებამ ოთხი პირი დააკავა, რომლებიც 2009 წელს პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ჯერ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას არ იცნობს და შესაბამისად, ვერაფერს იტყვის.

ლაშა თორდიამ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ქართული მხარისთვის სავალდებულოა.

ევროსასამართლომ დარღვეულად ცნო ევროკონვენციის 38-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, ითანამშრომლოს სასამართლოსთან ფაქტების დადგენაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით პრეტენზიები სრულად ასახავდა იმ პრეტენზიებს, რომელიც სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებით შეიძლებოდა ყოფილიყო და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე ცალკე არ ემსჯელია.

ამასთან, ევროსასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს სამი თვის ვადაში მოსარჩელე გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ 50 ათასი ევროს და გაუთვალისწინებელი ხარჯების გადახდა დააკისრა.

# სტრასბურის სასამართლომ სააკაშვილის რეჟიმს განაჩენი გამოუტანა

## გირგვლიანის მკვლელების შეწყალებამ ევროსასამართლო გააოგნა

ქეთი ხომერიკი

სტრასბურის სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ ევროკონვენციების იმ უფლებების დარღვევა დაადგინა, რომელსაც სანდრო გირგვლიანის ადვოკატები ითხოვდნენ. სასამართლომ დარღვეულად ცნო ევროკონვენციის მეორე მუხლი, რომელიც სიცოცხლის უფლების პატივისცემას ითვალისწინებს. ევროსასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გამოძიება, რომელიც წარიმართა საქართველოს შიდა ინსტანციაში — შსს-ში, პროკურატურასა და სასამართლოში, არ შეესაბამებოდა ევროკონვენციის მეორე მუხლის სტანდარტებს. გარდა ამისა, სასამართლომ დარღვეულად ცნო ევროკონვენციის 38-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, ითანამშრომლოს სასამართლოსთან ფაქტების დადგენაში. ითქვა ისიც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული მტკიცებულებები წარდგენილი იყო დაგვიანებით, ხოლო გარკვეული მტკიცებულებები — გაყალბებული სახით. სასამრთლომ მიიჩნია, რომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით პრეტენზიები სრულად ასახავდა იმ პრეტენზიებს, რომლებიც სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებით შეიძლებოდა ყოფილიყო და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე ცალკე არ იმსჯელა. ამასთანავე, ევროსასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს სამი თვის ვადაში მოსარჩელე გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ 50 ათასი ევროს, აგრეთვე, გაუთვალისწინებელი ხარჯების გადახდა დააკისრა.

„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა და ბრიფინგი გამართა. ალასანია მიიჩნევს, რომ სტრასბურმა ამ გადაწყვეტილებით სააკაშვილის რეჟიმს განაჩენი გამოუტანა. როგორც ირაკლი ალასანიამ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გადაწყვეტილებაში ასახულმა დასკვნებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ყველა შტო — შსს, პროკურატურა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, სასამართლო და თავად საქართველოს პრეზიდენტი მოქმედებდნენ შეთანხმებულად, რათა ხელი შეეშალათ ამ საზარელი მკვლელობის საქმეში სიმართლის დადგენისა და სამართლის აღსრულებისთვის.



— სააკაშვილის პროკურატურა და შსს აყალბებდნენ დაკითხვის ოქმებს და ამახინჯებდნენ ფაქტებს, მალავდნენ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, — განაცხადა ალასანიამ.

ალასანიას აზრით, სააკაშვილის მართლმსაჯულება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური არ არის. ალასანიამ იქვე აღნიშნა, რომ სტრასბურის სასამართლომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დამნაშავეების შეწყალებასა და ვადაზე ადრე გათავისუფლებას გამაოგნებელი უწოდა.

— მე ვაფრთხილებ მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, რომ ვერასდროს გაექცევა სამართალს და ყველას მოუწევს ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება, — აღნიშნა „თავისუფალმა დემოკრატმა“ ირაკლი ალასანიამ.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე სიტყვით სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი, ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი შალვა შავგულიძე გამოვიდა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე ისაუბრა. შავგულიძემ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ, გადაწყვეტილების თანახმად, მოცემულ საქმეზე, როგორც წინასწარი გამოძიება, ასევე სასამართლო განხილვები არასრულად, ცალმხრივად და არაობიექტურად ჩატარდა. შავგულიძისავე თქმით, გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ჩაატაროს დამატებითი გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც პასუხისმგებლობა ასცილდათ.

— ვგულისხმობ იმ ცნობილ სუფრის წევრებს, რომლებთანაც მოუვიდა გარკვეული კონფლიქტი სანდრო გირგვლიანს და რომელთა მხრიდან იყო გამოძახებული სადამსჯელო ბრიგადა. ეს პირები არიან მაშინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე დათა ახალაია, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ვასილ სანოძე, შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელი გურამ დონაძე, შსს-ს ოფიცერი ოლეგ მელნიკოვი და შს მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია, — განაცხადა შავგულიძემ.

შავგულიძის მტკიცებით, იმ პირთა თანამონაწილეობის თაობაზე და იმის დასადგენად, რა დოზით აქვთ შეხება ამ დანაშაულთან, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებიდან



გამომდინარე, საჭირო გახდება ხელახალი გამოძიების დაწყება შემდგომი სასამართლო განხილვებისთვის.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სტრასბურის სასამართლოში სარჩელი 2007 წლის ზაფხულში შევიდა. ადვოკატები გირგვლიანის საქმეზე ითხოვენ ევროკონვენციის მუხლების — სიცოცხლის, სამართლიანი სასამართლოს უფლების, წამების აკრძალვისა და დაცვის უფლების დარღვევად ცნობას და მორალურ კომპენსაციას. სანდრო გირგვლიანი შსს-ს თანამშრომლებმა 2006 წლის იანვარში გაიტაცეს, აწამეს, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა. მაშინ ამ საქმეზე გამოძიებამ ოთხი პირი დააკავა: კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გია ალანია, ალექსანდრე ლაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე, რომელთაც 6-წლიანი პატიმრობა შეეფარდათ. შემდეგ პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე ბრალდებულებს სასჯელი გაუნახევრდათ, ხოლო 2009 წელს ისინი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ.

# კვირის ბოლოდან დამატებითი ვიდეოპაემნები ამოქმედდება

პრობაციის სისტემაში კვირის ბოლოდან დამატებითი ვიდეოპაემნები ამოქმედდება.

როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გიორგი თვაურმა განაცხადა, პროექტზე მუშაობა დასრულებულია და ტესტირების რეჟიმი წარმატებულად მიმდინარეობს.

15 წუთიანი ვიდეოპაემნით სარგებლობა ნებისმიერ მოქალაქეს თვეში სამჯერ შეეძლება. განცხადების შეტანიდან შვიდ სამუშაო დღეში პრობაციის ბიურო მოქალაქეს პასუხს გასცემს.

ვიდეოპაემანი საწყის ეტაპზე ქსნის მე-15, ნახევრად ღია სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და არასრულწლოვანთა მე-11 სპეციალურ დაწესებულებაში ამოქმედდება.

ვიდეოპაემანი არ შედგება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მქონე პატიმარსა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა აქვს.

— ვიდეოპაემანი ეს არის ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი ახალი და ძალიან მნიშვნრლოვანი პროექტი, რომელიც მსჯავრდებულებს საზოგადოების ნებისმიერ წევრთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს, — განაცხადა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი მაკასარაშვილმა.

მედიანიუსი

# აშშ–საქართველოს ქარტიის ფარგლებში დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართება

დღეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიის სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება. როგორც „მედიანიუსს“ საქართველოში აშშ-ს საელჩოდან აცნობეს, შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმებისას მიღწეული პროგრესი და თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის აქტუალური თემები განიხილება.

ამერიკულ დელეგაციას უხელმძღვანელებენ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქეიდენაუ და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში კეტლინ ფიცპატრიკი. საქართველოს დელეგაციის თანათავმჯდომარეები იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე და იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია 2009 წლის იანვარში, ვაშინგტონში გაფორმდა. 2009 წლის ივნისში აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის კომისიამ ქარტიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით სამუშაო ჯგუფები შექმნა და პირველი შეხვედრა ვაშინგტონში გამართა.

დემოკრატიის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ხალხთა შორის ურთიერთობების საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფები რეგულარულად იკრიბება, იხილავს მიმდინარე პროცესებსა და ადგენს სამომავლო გეგმებს. დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრა 2010 წლის 17 ნოემბერს, ვაშინგტონში გაიმართა. ამერიკულ დელეგაციას თინა ქეიდენაუ და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში მაიკლ პოზნერი ხელმძღვანელობდნენ.

თბილისში ყოფნისას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეები სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსაც შეხვდებიან.

მედიანიუსი

# ჯანდაცვის მინისტრმა მშობლებს ბავშვების აცრისკენ მოუწოდა

გუშინ თბილისში ევროპის იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე და პირველი ლედი სანდრა რულოვსი ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, 50 წლის განმავლობაში ფართომასშტაბიანმა იმუნიზაციის პროგრამამ თავისი შედეგი გამოიღო და დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

ჯანდაცვის მინისტრის ანდრია ურუშაძის განცხადებით, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ყველა ბავშვი უფასოდ აიცრება. მინისტრმა მშობლებს შვილების აცრისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ქვეყანაში მაღალი ხარისხის ვაქცინაა შემოტანილი და ვაქცინაცია უსაფრთხოა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# საპროტესტო აქციებს აზრი ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში აქვს

## რას ითხოვს მათგან მოსახლეობა

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

*— ოპოზიციის ერთი ნაწილი, აღდგომის შემდეგ საპროტესტო გამოსვლებს აანონსებდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება ამ ეტაპზე საპროტესტო გამოსვლები და რამდენად შეძლებენ რადიკალურად განწყობილი ძალები ამ საკითხში გაერთიანებას?*

— უნდა დავიწყოთ იქიდან, დღეს საზოგადოებაში როგორი განწყობაა. დღეს საზოგადოებაში არის მოთხოვნილება იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. ხელისუფლების შეცვლის ფორმებზე საზოგადოების დიდი ნაწილი საერთოდ არ ფიქრობს. მთავარია, რომ შეიცვალოს. როდესაც საუბარია იმაზე, არჩევნები თუ რევოლუცია, ესეც გარკვეულწილად არასწორია, იმიტომ რომ საზოგადოებას სჭირდება ცვლილება და, თუ ეს ცვლილება დამაჯერებელი იქნება არჩევნების გზით, რა თქმა უნდა, არჩევნებს დაუჭერს ხალხი მხარს. თუ ეს გზა დამაჯერებელი იქნება რევოლუციის გზით, მაშინ რევოლუციას დაუჭერს ხალხი მხარს, იმიტომ რომ ხალხის დაკვეთა ხელისუფლების შეცვლაა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, პოლიტიკური პარტიების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ეს მოხდეს არჩევნებით და ამ მიმართულებით აძლიერებს თავის ძალისხმევას, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ეს არ არის შესაძლებელი არჩევნების გზით და ამიტომ უნდა, რომ შეცვალოს რევოლუციის გზით. მთავარი ის არის, რომ თვითონ საზოგადოებას უნდა სჯეროდეს იმ ძალის, რომელიც არჩევნებს სთავაზობს, ან იმ ძალის, რომელიც ეუბნება, რომ რევოლუციით შეიძლება ხელისუფლების შეცვლა. აი, ეს ნდობა რომელსაც ექნება და რომელიც უფრო მეტად დააჯერებს საზოგადოებას, ბუნებრივია, საზოგადოება იმას დაუჭერს მხარს და იმ მიმართულებით დაიწყებს მოთხოვნებს. ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი არც ერთი მხარის მიერ, საზოგადოების ნდობა რომლისკენ იხრება. ამიტომ, ალბათ, ჯობია, რომ მოხდეს რაღაცა საერთო შეთანხმება ორივე ამ პოზიციისა, რომელიც დღეს ქვეყანაშია. მათ ერთობლივად უნდა გააგრძელონ მუშაობა. ვერც არჩევნების გზით გამარჯვება ვერ წარმომიდგენია მიტინგებისა და მანიფესტაციების, ზეწოლების გარეშე. ამ პროცესსაც სჭირდება ძალიან სერიოზული საპროტესტო ტალღა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ სერიოზულად დათმოს, უკან დაიხიოს და მისცეს საზოგადოებას დემოკრატიული არჩევანის საშუალება.

*— არჩევნების მომხრე ვინც არის, ფიქრობთ, რომ საპროტესტო გამოსვლების გარეშე მათაც არაფერი გამოუვათ?*

— ამასაც, რა თქმა უნდა, მიტინგები სჭირდება და ისინიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ რევოლუციით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, იმასაც, რა თქმა უნდა, მიტინგები და აქციები სჭირდება. ვინაიდან ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც საჭიროა საზოგადოების აქტიურობა ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის, ამიტომ ჯობია, თუნდაც ამ საკითხში გაერთიანდეს ოპოზიცია, ხელისუფლებაზე მოახდინონ ზეწოლა და ეს ზეწოლა უნდა გამოიხატოს საპროტესტო აქციებში, მიტინგებში, მანიფესტაციებში, შეთანხმდნენ ამაზე აუცილებლად და ერთიანი ძალისხმევით მოხდეს ამ საპროტესტო მუხტის აგორება, თორემ ის, რომ ხალხს უნდა ამ ხელისუფლების შეცვლა, არც ერთი ოპოზიციური მხარის დამსახურება არ არის. ეს არის თვითონ ხელისუფლების დამსახურება, რომ მან გაუჩინა ასეთი მოთხოვნა საზოგადოებას. იგივე თვითგადარჩენის ინსტინქტმა ხალხს გაუჩინა მოთხოვნა, რომ აუცილებლად ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. მთავარი ახლა სწორი სტრატეგიის შემუშავებაა და, ჩემი აზრით, ეს სწორი სტრატეგია იქნება, თუკი მთლიანად ოპოზიციური სპექტრი მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს საპროტესტო ტალღა ერთიანი ძალებით უნდა აგორდეს.

*— ამ ეტაპისთვის ორი ძლიერი ძალაა გამოკვეთილი, ვინც რევოლუციას აანონსებს. ეს არის სახალხო კრება და „ქართული პარტია". თუმცა, ისინი კვლავ ვერ თანხმდებიან და კინკლაობენ ერთმანეთში. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რამდენად მომგებიანია მათი კინკლაობა?*

— ეს არასწორია. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც ოპოზიცია მუშაობს არა ხელისუფლების გაშიშვლებასა და მის ჩაძირვაზე, არამედ — ერთმანეთის. ეს არის უდიდესი შეცდომა და სწორედ ამიტომ გვჭირს ის, რაც გვჭირს, რომ ოპოზიციამ ვერ გააცნობიერა, დარტყმის ობიექტი დღეს მხოლოდ ხელისუფლება უნდა იყოს. როგორ შეცდომებსაც არ უნდა უშვებდეს დღეს შიგნით ოპოზიცია, ამისი გარჩევის დრო არ არის ახლა. როდესაც მოვა ამის გარჩევის დრო, მაშინ — კი ბატონო, მაგრამ ახლა მთავარი ბოროტებაა მოსაშორებელი და ამ ბოროტების წინააღმდეგ უნდა გაერთიანდნენ და არა ერთმანეთს ურჩევდნენ, ვის როდის რა შეცდომა აქვს დაშვებული. ეს არავითარ შემთხვევაში არ წაადგება იმ საერთო საქმეს, საერთო აზრამდე მისვლას, რაც ასე საჭიროა დღეს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს არასწორია. თუ ოპოზიცია დროზე არ შეწყვეტს ამ ყველაფერს, მხოლოდ ხელისუფლება მოიგებს. დღესაც ხელისუფლება ზეიმობს ამ რიტორიკით, რომელსაც ოპოზიცია ერთმანეთის წინააღმდეგ ეწევა.

*— „ქართული პარტიის" მიერ გაკეთდა განცხადებები, რომ ისინი მზად არიან სახალხო კრებასთან სათანამშრომლოდ, თუმცა, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა დაამატა, ნინო ბურჯანაძის გარეშეო. როგორ ფიქრობთ, სახალხო კრება ბურჯანაძის გარეშე ითანამშრომლებს „ქართულ პარტიასთან"?*

— არა მგონია, რომ ეგ სწორი იყოს და ეს ასე ვერ მოხდება. სახალხო კრება დღეს არავითარ შემთხვევაში უარს არ იტყვის ბურჯანაძეზე, იმიტომ რომ ნინო ბურჯანაძეს უდიდესი წვლილი აქვს სახალხო კრების არსებობაში. ასე რომ, ეს არასწორია, ეგ არ მოხდება. თუ ასეთ ულტიმატუმებს აყენებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ უნდათ ეს ერთობა, თორემ, რეალური ერთობის შემთხვევაში, ეს საკითხი ასე არ უნდა დამდგარიყო. თუმცა, ვფიქრობ, ახლა ეს პოზიციაც შეცვლილია და აქაც არის შესაძლებელი საერთო მიზნის გამოკვეთა. იგივე, როდესაც მე ვამბობდი, რომ საპროტესტო ტალღა ყველამ ერთად უნდა ააგოროს და ყველამ ერთად უნდა შეუწყოს ხელი მას, ჩემი აზრით, ამ საკითხის ირგვლივ ყველანი უნდა გაერთიანდნენ. შემდგომ, როდესაც ეს ხელისუფლება წავა, ღვთის წყალობით, მერე უკვე, ბუნებრივია, თითოეული პოლიტიკური პარტია თავისი პროგრამით, პლატფორმით, რეიტინგით, წარსულითა და შეცდომებით წარდგება საზოგადოების წინაშე და ხალხი თვითონ გააკეთებს არჩევანს, ვის მისცეს ხმა და ვის — არა, ვინ აირჩიოს. ამ ეტაპზე კი სჯობს, ეს ყველაფერი უკანა პლანზე გადასწიონ და შეძლონ თუნდაც საპროტესტო აქციების განვითარებისთვის ერთად დადგომა.

*— რადიკალურად განწყობილი ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ისინი ხელისუფლებას აუცილებლად წელს შეცვლიან. თქვენი აზრით, რამდენად აქვთ ამ პარტიებს ამის ძალა და მართლაც წელს შეცვალონ ხელისუფლება?*

— ამ პარტიებს დღეს ამის ძალა ნამდვილად არ გააჩნიათ. არც რეიტინგით არიან ისეთი ძლიერები, რომ საზოგადოება მათ გაჰყვეს და არც სტრუქტურები აქვთ ისე აწყობილი, რომ მათ ეს შეძლონ. ეს ისევ და ისევ ხალხის გასაკეთებელია და საზოგადოებამ უნდა შეძლოს ამ მხრივ გაერთიანება და მობილიზება. საზოგადოებამ უნდა მოინდომოს ეს ყველაფერი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ გარეშე ძალების დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე ეს არ მოხდება. იგივე დასავლეთის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე ის განცხადებები, რომლებიც კეთდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რომ საქართველოში ექნება მხარდაჭერა დემოკრატიას, საზოგადოების ინტერესებს და არა ერთეულ პოლიტიკოსებს, ძალიან კარგია. მათ აქვთ ბერკეტები და იციან, როგორ უნდა დაუჭირონ ამ პროცესებს მხარი. თუმცა, როგორი მხარდაჭერაც არ უნდა იყოს გარედან, თუ შიგნით არ იქნა ამისთვის მზაობა, ვერაფერი მოხდება. შიგნითაც საზოგადოება ამისთვის უნდა ვარგოდეს და შეეძლოს, ეს ცვლილებები განახორციელოს. ასე რომ, მხოლოდ პოლიტიკური პარტიები თავიანთი რეიტინგით, ძალით დღეს ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებას ვერ შეცვლიან. ხალხთან ერთად და საერთაშორისო მხარდაჭერით არის მხოლოდ შესაძლებელი ამ სერიოზული მონსტრის, რასაც დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენს, ამ სერიოზული მაფიის შეცვლა.

*— თქვენ საზოგადოების მთავარ როლზე საუბრობთ, თუმცა, ბევრს საუბრობენ ასევე იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში შიში ჯერ კიდევ დაუძლეველია...*

— რა თქმა უნდა, ეს შიში არის, იმიტომ რომ ტოტალური კონტროლია საზოგადოების, ხელისუფლების მხრიდან. ყველა ჯიხურს, ყველა სოფელს, ყველა სოფლის მცხოვრებს, ყველა ოჯახს აკონტროლებს ხელისუფლება. აი, ეს არის სწორედ ტოტალიტარიზმი, რომ ყველგან ყველაფრის კონტროლი ხდება და ხალხმაც კარგად იცის, რომ ასეა. ამიტომაც დადგა საჭიროება იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, რომ 21-ე საუკუნეში, თანაც იმ ფონზე, როდესაც აცხადებს ხელისუფლება, მე დემოკრატიული ხელისუფლება ვარ და დემოკრატიულ რეფორმებს ვატარებო, რეალურად ტოტალურ კონტროლს ამყარებს — მოსმენები, თვალთვალი, მიყურადება, ხდება ყოველი კაპიკის კონტროლი, რაც ოჯახს გააჩნია. უკონტროლებენ ყველას ბიზნესს, თუკი ვინმეს ელემენტარული ბიზნესი აქვს, თორემ, მსხვილი ბიზნესები, თქვენც ძალიან კარგად იცით, რომ მთლიანად ხელისუფლების ხელშია. თუ ადამიანი ერთ ადგილზე რაღაცას ყიდულობს და მეორე ადგილზე ყიდის, ამის კონტროლიც კი ხდება. ხალხმა იცის, რომ ნებისმიერი პროტესტის, ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში დაკარგავენ იმ უკანასკნელ ლუკმას, რომელსაც სიმწრით, თავისი შრომისა და სისხლის ფასად შოულობს თითოეული მოქალაქე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეს სხვა გამოსავალი არ არის. ვერაფერი გამოსწორდება, თუკი არ ვძლიეთ შიშს და თუკი ვერ შევძელით, ყველამ ერთიანი ძალისხმევით ეს ტოტალიტარიზმი მოვიშოროთ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ეს უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ. მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების როლი ამაშია, რომ ხალხი უნდა დაარწმუნოს, გამოსავალი სწორედ ამ შიშის დაძლევასა და ხელისუფლების მხილებაშია. შეიძლება, დღეს ამას მოჰყვეს რეპრესიები, მაგრამ სამაგიეროდ ხვალ, ზეგ ის ვეღარ შეძლებს ამის გაგრძელებას, მას არა აქვს იმის რესურსები, რომ აბსოლუტურად ყველა ადამიანი დასაჯოს ამის გამო. მხოლოდ ასეთი მასობრივი და მასშტაბური პროტესტი აიძულებს ხელისუფლებას, ან შეცვალოს კურსი და საზოგადოებას მისცეს საშუალება, ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნებით შეცვალოს ხელისუფლება, თუ არადა, ეს მოხდეს იმ რევოლუციური გზით, რომლითაც თვითონ შეცვალეს და მოვიდნენ ხელისუფლებაში.

*— დღეს აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს საპროტესტო გამოსვლებს და ოპოზიციონერი ლიდერების დაპატიმრებას დაიწყებს. იგივე ნინო ბურჯანაძის დაპატიმრების შესახებ საუბრობენ აქტიურად. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს აგორებული ხმებია თუ მართლაც წავა ამაზე ხელისუფლება?*

— ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელ ქმედებებს შორის. ასეთი ნაბიჯები საბოლოოდ გამოუთხრის ძირს სწორედ ხელისუფლებას და ეს ბუმერანგივით უკან შემოუბრუნდება. ასე რომ ის ამას არ გააკეთებს, ამის საჭიროება არა აქვს და იცის, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა პირიქით, მისთვის უფრო პრობლემურია, ვიდრე იმ ადამიანებისთვის რომლებსაც დაიჭერს, იმიტომ რომ ისინი უეცრად გმირებად იქცევიან, ხელისუფლებაზე კი ძალზე საზიანოდ იმოქმედებს ეს ყველაფერი. არა მგონია, ის ამაზე წავიდეს.

*— ეს უფრო დიდ აგრესიას გამოიწვევს საზოგადოებაში?*

— რა თქმა უნდა, აგრესიასაც გამოიწვევს და იმ პარტიების, ლიდერების რეიტინგს, რომელთა მიმართ ნდობაც, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა დასული, სერიოზულად გაზრდის.

*— ქალბატონო ნანა, ასევე საერთაშორისო მხარდაჭერის შესახებ მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას დასავლეთის მხარდაჭერის იმედი? ალბათ, დამეთანხმებით, რომ განცხადებების დონეზე დასავლეთი საკმაოდ გააქტიურდა და კრიტიკულად გამოდის ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს რამეს შეცვლის?*

— იყო კრიტიკული საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებას აღარ აქვს ის მხარდაჭერა, რაც რამდენიმე წლის წინ ჰქონდა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არ არის საკმარისი. მათ აქვთ სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები ამ ხელისუფლების წინააღმდეგ და ის უნდა იქნეს გამოყენებული. თუ რეალური მხარდაჭერაა, მაშინ უნდა გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც მათ გააჩნიათ. ერთი მხრივ, განცხადებები და, მეორე მხრივ, ამ მონსტრის დაფინანსება ურთიერთგამომრიცხავია. უნდა გამოიყენონ ეს ბერკეტები. შეიძლება, ეს საზოგადოებისთვისაც არ იყოს მთლად კარგი, მაგრამ ხომ მოკლე ვადაში ხდება ეს ზეწოლა. მათ ყველაზე მეტად აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დათმონ ძალაუფლება და ისევე, როგორც უკრაინაში მოხდა, რეალურად დემოკრატიული არჩევნები ჩაატარონ. ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. ცუდი თუ კარგი, ეს უკვე მათი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ ის, რომ მიეცა ხალხს არჩევანის საშუალება, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში ეს ყველაფერი სწორედაც რომ შესაძლებელია დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების, მათზე ზეწოლის გზით.

# დეპუტატები ომბუდსმენის მოსასმენად ემზადებიან

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატები სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას ამ კვირაში შეუდგებიან. ხუთშაბათს გიორგი ტუღუშს ოპოზიცია მოუსმენს.**

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები" გაფართოებულ სხდომას ამ კვირაში ჩაატარებენ. საკმაოდ სქელტანიან ანგარიშს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები დეტალურად მოისმენენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის



კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, პარლამენტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გვჭირდება გარკვეული პერიოდი, რათა სახალხო დამცველის ანგარიშს სათანადოდ გაეცნონ.

ერთთვიანი პერიოდი, რომელიც კომიტეტმა ითხოვა, მომავალ კვირას გადის. ომბუდსმენის ანგარიშის განხილვისთვის საპარლამენტო ოპოზიციაც ემზადება.

ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ქრისტიან-დემოკრატები ფრაქციის გაფართოებულ სხდომას გამართავენ, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

— საერთაშორისო რეზონანსის მქონე კონკრეტული საქმეებია, რომელსაც ადეკვატური შეფასება სჭირდება საქართველოს პარლამენტის მიერ, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

გიორგი ტუღუშმა პარლამენტს ანგარიში კანონით გათვალისწინებულ ვადაში წარუდგინა. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ყველა იმ ძირითად ფაქტზე, რომელიც გასულ წელს მოხდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული დარღვევის ფაქტები, რომელზეც გიორგი ტუღუში ყურადღებას ამახვილებს, საკმაოდ მწვავეა. ოპოზიციის შეფასებით, სახალხო დამცველმა ობიექტურად და სამართლიანად ასახა ის რეალობა, რაც გასულ წელს ქვეყანაში არსებობდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ? სახალხო დამცველის მოხსენების შემდეგ, პარლამენტმა დადგენილება უნდა მიიღოს. ბოლო პერიოდში პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს ცნობად იღებდა. არადა, საპარლამენტო ოპოზიცია მმართველ გუნდს მოუწოდებდა, რომ ომბუდსმენის ანგარიში მხოლოდ და მხოლოდ ცნობად არ იქნას მიღებული და მას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვეს.

ოპოზიციის ნაწილი ვარაუდობს, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენას ამჟამად ერთიორი მინისტრის თანამდებობიდან წასვლა მოჰყვება. გამართლდება თუ არა ოპოზიციის პროგნოზი და კონკრეტულად რა რეკომენდაციებს აძლევს პარლამენტს ომბუდსმენი, ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, რაც გიორგი ტუღუში მოხსენებას გააკეთებს.

შედით საიტზე atb.ge



# ხელისუფლება რევოლუციით აღარ უნდა შევცვალოთ

## რატომ უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია

თეა მარხვაი ე

ჰილარი კლინტონმა წინა კვირაში საქართველოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან დემოკრატიული არჩევნების აუცილებლობაზე ისაუბრა. ამ განცხადებამ ჩვენი კონსტრუქციული ოპოზიცია სიხარულით გადარია. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი მიზანი მიღწეულია. მიაჩნიათ, რომ საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებენ და სააკაშვილს არჩევნების გზით გაისტუმრებენ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ალეკო შალამბერიძე. მისი აზრით, საქართველოში ხელისუფლება რევოლუციით აღარ უნდა შეიცვალოს. თუ რატომ, ამ თემაზე ის „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადებამ ოპოზიცია ძალიან გაახარა. არ გგონიათ, რომ ამის გამო ოპოზიცია ზედმეტად აჟიტირებული ხართ?***

— მე, პირადად, არანაირ აჟიტირებას არ განვიცდი. მიმაჩნია, რომ ეს არის შედეგი, რომელიც აუცილებლად მისაღწევი იყო. ყველას გვახსოვს, რომ ოპოზიციას საერთაშორისო ფრონტზე არანაირი მხარდაჭერა არ გვქონდა. საქართველოში მათთვის არსებობდა ერთადერთი პოლუსი — მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საკუთარი თავის წარმოსაჩენად უამრავ ხერხს იყენებდა, ოპოზიციას კი არაკონსტრუქციული ძალის იმიჯს უქმნიდა, ამბობდა, მე დემოკრატი ვარ, ოპოზიცია მოლაპარაკებების მაგიდასთანაც არ ჯდება და მხოლოდ რევოლუცია ელანდებათო. ჰილარი კლინტონის განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მას არ სჭირდება ბევრი გაფორმება, აურზაურის ატეხა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა იმისათვის, რომ კიდევ უფრო სერიოზული მხარდაჭერა მოვიპოვოთ.

***— დასავლეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად რა უნდა გააკეთოთ, ხელისუფლებასთან დიალოგი უნდა გააგრძელოთ?***

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ჩვენი მთავარი ამოცანა საარჩევნო გარემოს შეცვლაა. ეს გულისხმობს საარჩევნო სიების დადგენას, დემოკრატიული საარჩევნო სისტემის შექმნას, რის შემდეგაც სააკაშვილი ველარ მოიპარავს ხმებს. შესაბამისად, ველარ უზრუნველყოფს თავის გამარჯვებას. არჩევნებამდე როცა მივალთ, საარჩევნო გარემო გაუმჯობესებული უნდა იყოს. მანამდე უნდა შევავიწროვოთ ეს ხელისუფლება. ეს შევიწროება მოლაპარაკებების პარალელურად უნდა განვახორციელოთ.

***— შევიწროებასა და მოლაპარაკებებს როდემდე აპირებთ, 2013 წლამდე?***

— ეს პროცესი 2013 წლამდე არ გაგრძელდება. ჩვენ მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის კი არ გვინდა. ეს დიალოგი იმისთვის გვინდა, რომ საარჩევნო გარემო შეიცვალოს. ამისათვის სულ ვიბრძოლებ. მე არჩევნები არ მეჩქარება. მირჩევნია, არჩევნები გვიან ჩატარდეს და გაუმჯობესებულ გარემოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამარჯვებული სულ სააკაშვილი გამოვა. საარჩევნო კოდექსისთვის ბრძოლა იმ ბრძოლის ნაწილიცაა, რომელსაც მე და ლაშა ჩხარტიშვილი ვაწარმოებთ. გასული წლის აგვისტოდან მოყოლებული, აქციებს ვმართავთ. ჩვენ ვიცავთ დევნილების, ვეტერანების, პედაგოგების, ექიმების, მოვაჭრეების, უსახლკაროების უფლებებს. ვისი უფლებებიც ირღვევა, ჩვენ მათ გვერდით ვდგავართ.

***— დანარჩენ ოპოზიციას ეს არ ეხება?***

— როგორ არ ეხება. თუმცა, ყველამ თავად უნდა აირჩიოს ბრძოლის მეთოდი. ჩვენთან ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლა აქციებით უნდა მოხდეს. ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებით ხელისუფლების შეცვლას არ განიხილავენ. ამან მოსახლეობა გაურკვევლობაში ჩააგდო.

***— რა გაურკვევლობაში?***

— ხალხი ფიქრობს, რომ ხელისუფლების შესაცვლელად 2



გზა არსებობს. ეს ასე არ არის.

***— აბა, როგორ არის?***

— აქციების გარეშე წარმოუდგენელია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ამიტომ აქციები, მოლაპარაკება არის ის ძალა, რომელიც სააკაშვილს ხელისუფლებას ჩამოაშორებს. საარჩევნო კოდექსზე მომუშავე პარტიებმა ამ პერიოდში გეგმაც წარმოვადგინეთ და მცირე შედეგსაც მივაღწიეთ.

***— რა შედეგს მიაღწიეთ?***

— საერთაშორისო გამოხმაურება. ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ამის მიუხედავად, ჩვენი შედეგი ბევრად შთამბეჭდავია, ვიდრე საპროტესტო ფლანგზე მყოფი პარტიებისა. მათ გეგმაც კი არა აქვთ.

***— რატომ გგონიათ, რომ გეგმა არა აქვთ?***

— ამ გეგმას არ აცნობენ საზოგადოებას, ასახელებენ რაღაც ციფრებს. პოლიტიკაში ხანდახან ზუსტი და საშუალო სიძლიერის დარტყმები უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი და გადამწყვეტი დარტყმის ლოდინი.

***— მოკლე პასებით აპირებთ თამაშს?***

— რა თქმა უნდა. ისე ვითამაშებთ, როგორც „ბარსელონა“ თამაშობს. ჩვენ არ გვინდა ისეთი დარტყმები, როგორიც კანთელაძეს ჰქონდა.

***— ვინ არის ეს კანთელაძე?***

— კანთელაძე თამაშობდა თბილისის „დინამოში“. ეს საბჭოთა პერიოდში ხდებოდა. „დინამოს“ ჩავარდნა ჰქონდა და მთელი გუნდი მის იმედზე იყო. დაარტყამდა და გაიტანდა.

***— გამოდის, კარგი ყოფილა ეს ერთი და გადამწყვეტი დარტყმა.***

— არ არის კარგი. კანთელაძემ მხოლოდ ერევანთან გაიტანა. სხვა დროს ვერ გაჰქონდა. ამიტომ არ ღირს გადამწყვეტი დარტყმის ლოდინი. გადავიდეთ მოკლე პასებზე და „ბარსელონასავით“ ვითამაშოთ.

***— ამ მოკლე პასებით არ წააგო „ბარსელონამ“ „რეალთან“ თამაში?***

— მერე რა მოხდა. ეს ერთი თამაში წააგო.

***— სამაგიეროდ, ეს თამაში გადამწყვეტი იყო.***

— არა უშავს. „ბარსელონა“ კიდევ მოიგებს. ნათქვამია, „ელირსება ლუზერის ლაშარის გორზე შადგომა“. ასევე ელირსება „ბარსელონას“ ესპანეთის თასის მოგება. მოკლე და საშუალო სიძლიერის დარტყმები რომ ეფექტურია, ეს კრივიდანაც ჩანს. ასეთი დარტყმები უფრო ეფექტურია, ვიდრე ძიება ერთი დარტყმისა.

***— ერთი დარტყმით ნოკაუტში გაგზავნა ეფექტური არ არის?***

— როგორ არ არის. თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. საშუალო სიძლიერის დარტყმები უფრო მყარი და შედეგიანია. უნდა ვთხოვო ოპოზიციას, თავი დავანებოთ ერთმანეთის ლანძღვას. კოორდინირებული მოქმედებისა და ფლანგების მომზადების გარეშე შედეგი არ იქნება. თუ შეთანხმებულად არ ვიმოქმედებთ, არაფერი გამოვა. რადიკალურმა და კონსტრუქციულმა ოპოზიციამ შეთანხმებულად უნდა ვიმუშაოთ. ეს გამოიღებს შედეგს. ასეთი მეთოდებით აუცილებლად შევცვლით ამ რეჟიმს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ოპოზიცია არა ვართ ერთმანეთის მტრები. ჩვენ გვყავს საერთო მტერი. მას მიხეილ სააკაშვილი ჰქვია. თუ ერთმანეთს დავერევით, მთავარი მტერი გაიმარჯვებს. ეს იქნება როგორც ოპოზიციის, ასევე მთელი საქართველოს კრახი. ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერს სააკაშვილი ამ ქვეყანაში აღარ დატოვებს. ეს აუცილებლად უნდა გავიაზროთ.

***— მარტში ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებდით, რომ სააკაშვილი 1-ლი აპრილიდან ოპოზიციის ლიდერების დაკავების სერიას დაიწყებდა. ხეზე დავაკაკუნოთ, თვალი რომ არ ეცეს და ჯერ არავინ დაუჭერია...***

— როგორ არ დაუჭერიათ. ლიდერები არ დაუკავებიათ, მაგრამ აქციის მონაწილეები დააკავეს. ამიტომ, არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება. ერთმანეთის დაჭმას შევეშვათ და საერთო მტრის წინააღმდეგ გავერთიანდეთ, თორემ, თუ ისევ ის დარჩა ხელისუფლების სათავეში, ეს იქნება ქვეყნის კრახი.

***— მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყნის კრახი იქნება ის, თუ ხელისუფლების სათავეში მოვა ოპოზიცია. ამას ამტკიცებენ ნაციონალებიც. ვის უნდა დავუჯეროთ, თქვენ თუ ნაციონალებს?***

— უნდა დაგვიჯეროთ ჩვენ. ნაციონალების დაჯერება როგორ შეიძლება? ისინი სულ ტყუიან. ისე, მოსახლეობას უნდა ვუთხრა, რომ მათ არ უნდა დაუჯერონ პოლიტიკოსებს. ხალხმა ერთი ამოცანა უნდა დასახოს. მთავარი ამოცანა დღეს ის გახლავთ, რომ რაც შეიძლება მეტი ძალა შევიდეს პარლამენტში.

***— რა სარგებლობას მოიტანს პარლამენტში ბევრი პოლიტიკური ძალის შესვლა?***

— ერთმანეთს დააბალანსებენ.

***— ამბობენ, რომ ნაციონალებს პარლამენტის წევრთა რიცხოვნების გაზრდა სურთ. ამაზე რას იტყვით?***

— ნაციონალებს ბევრი რამე უნდათ. ამ თემაზე მოლაპარაკებების დროსაც გვისაუბრია. ოპოზიციის მოთხოვნაა, რომ დღეს არსებული რაოდენობა დარჩეს. ჩვენ იმ სისტემის შეცვლაც გვინდა, რომლითაც სააკაშვილი საკონსტიტუციო უმრავლესობას იღებს. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს. პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა შეიძლება ძალიან უნდათ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა, რომ რამდენ ხმასაც მიიღებს პარტია, იმდენი ადგილი ჰქონდეს პარლამენტში. გარემოს გაუმჯობესება თუ მოხდა, მომავალ პარლამენტში ნაციონალები უმრავლესობაში ველარ მოვლენ.

***— ისინი ქუთაისში მშენებარე ახალ პარლამენტში უმრავლესობით შესასვლელად ემზადებიან...***

— მათ საოცნებო პარლამენტს წყალი შეუდგა.

***— აკაკი ბობოხიძემ თქვა, ოპოზიციის ჯინაზე პარლამენტის ახალი შენობა მაინც აშენდებაო.***

— ბობოხიძემ რა იცის ნეტა, აშენდება თუ არა ეს შენობა.

***— როგორ თუ რა იცის, ის არის ნაციონალი და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი.***

— ის არის კონფორმისტი, რომელიც გამოიჩეკა ეროვნული მოძრაობის წიაღიდან.

***— ისე, როგორ გგონიათ, რატომ დაიჟინა ხელისუფლებამ პარლამენტის ქუთაისში გადატანა?***

— აბა, მე რა გითხრათ. ეს არის სააკაშვილის ახირება. ეგ კიდევ, ხომ იცით, როგორრია, თუ დაიჟინა რამე, მორჩა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქუთაისში პარლამენტის შენობის გადატანით აქციები აღარ გაიმართება, ძალიან ცდება. სადაც პარლამენტი, მთავრობა და სააკაშვილი იქნება, აქციებიც იქ ჩატარდება.

***— მოგიწევთ ოპოზიციონერებს ქუთაისში გადასახლება.***

— რა პრობლემაა. გადავალთ და იქ მოვუწყობთ აქციებს. უბრალოდ, ძალიან საწყენია ასეთი გადაწყვეტილება. დავით აღმაშენებელი მთელი ცხოვრება იმისთვის იბრძოდა, რომ თბილისი არაბებისგან გაეთავისუფლებინა. ყველაფერი გააკეთა, რომ აქ გაეკეთებინა სატახტო ქალაქი. ახლა დემოკრატიულად არჩეული ვიღაც სააკაშვილი აპირებს ამის შეცვლას. მერე მოვა კიდევ ვიღაცა და დედაქალაქს მცხეთაში გადაიტანს. სხვათა შორის, სააკაშვილი საქართველოს დედაქალაქის გადატანას სულ სხვაგან აპირებდა.

***— სად სხვაგან?***

— გაიძახოდა, საქართველოს დედაქალაქი სოხუმი უნდა იყოსო.

***— ეგ მართლა კარგი იქნებოდა...***

— კარგი იქნებოდა, აფხაზეთი არ დაგვეკარგა. აფხაზეთის დაბრუნების იმედი აღარ აქვს და ახლა ქუთაისში გადააქვს დედაქალაქი. ამიტომ მოსახლობამ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს არჩევნის გაკეთების დროს. იცოდეს ყველამ, რომ მაგარი პოლიტიკოსები არ არსებობენ. ჩავთვალოთ, რომ ყველა სუსტი პოლიტიკოსი ვართ. ჩვენ გვინდა ქვეყნის შველა. ამიტომ, უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა, სადაც სუსტი პოლიტიკოსები კარგად იმუშავებენ. პარლამენტში რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ძალა უნდა შევიდეს. იქ უნდა მოვახდინოთ ძალების დაბალანსება. რევოლუცია დაუშვებელია. რევოლუციამ შეიძლება ქვეყნის სათავეში სააკაშვილზე უარესი მმართველი მოიყვანოს. საქართველოში რევოლუციები არ ამართლებს. ყველას ეგონა, რომ შევარდნაძეზე უარესი პოლიტიკოსი არ არსებობს. მოვიდა სააკაშვილი და შევარდნაძე სანატრელი გაგვიხადა.

***— სანატრელია ვითომ შევარდნაძე?***

— შევარდნაძე რა სანატრელია, მაგრამ სააკაშვილი მასზე უარესი აღმოჩნდა. ასე რომ, არ არის გარანტია, სააკაშვილიც არ გახდეს სანატრელი. რევოლუცია საქართველოსთვის ძალიან ცუდი შედეგებით მთავრდება. უმჯობესია, სააკაშვილი არჩევნების გზით შევცვალოთ.

***— გჯერათ, რომ არჩევნებით შეცვლით?***

— გჯერა. ამას აუცილებლად გავაკეთებთ.

# სააკაშვილის ეპოქა სრულდება

## ერთ დროს დემოკრატიის შუქურა დიქტატორად გადაიქცა

შორენა კოწოწაშვილი

საქართველოს დასავლელ პარტნიორებს აქცენტი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე აქვთ გადატანილი, თუმცა ამ ფონზე საკამოდ აქტიურად იდება ობიექტური დასკვნები იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რომელიც საქართველოშია უფლებათა დაცვის კუთხით, დემოკრატიის და სასამართლოს დამოუკიდებლობის მხრივ. ამ ფონზე ოპოზიციის ნაწილს, კერძოდ, ირაკლი ალასანიას და მის გუნდს იმედი აქვთ, რომ პოლიტიკური გონიერება ორივე მხარეს ეყოფა — ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც და საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ მოხდება ხელისუფლების არჩევნების გზითშეცვლა.



ახალი მემარჯვენეების წევრი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ დღეს არა მხოლოდ პოლიტიკურ რვიანს აქვს მორალური პასუხისმგებლობა, არამედ ყველა ოპოზიციურ ძალას.

— ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებები შედეგით დასრულდეს, მაგრამ რა თქმა უნდა, მოხლოდ რვიანზე არ არის ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდეს მოტივაცია, თუნდაც რვიანის მოქმედების შედეგად, რომ ისინი ქვეყანას მაქსიმალურად დაეხმარონ გარედან, — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

არის თუ არა სააკაშვილი უკვე წარსულის პოლიტიკოსი და ხელისუფლებისთვის რამდენად მძიმე გადაწყვეტილება გამოიტანა სტრასბურგის სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმეზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ფიქრია ჩიხრაძესთან.

***— ქალბატონო ფიქრია, თავისუფალი დემოკრატების ლიდერი მიიჩნევს, რომ სააკაშვილს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც წარსულის პოლიტიკოსად თვლიან. ეს ღიად იკვეთება?***

— ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური დასაწყისი და დასასრული. სააკაშვილი თავისი ფსიქოტიპით, თავისი მართვის სტილით აშკარად უკვე დასასრულისკენ მიდის. როდესაც 2003 წლის ბოლოს ჩვენ კოლეგებს ვეუბნებოდით, რომ შევარდნაძის ეპოქა სრულდება ყველანაირი ლოგიკით — კონსტიტუციური ლოგიკით, სამართლებრივი ლოგიკით, ბიოლოგიური ლოგიკით და არ არის საჭირო ეს რაღაც შევარდნები და შემოვარდნები სადღაც, ყველაფერი შეიძლებოდა კონსტიტუციურ ჩარჩოში ნორმალურად გაკეთებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. დღესაც ეს იგრძნობა შეუიარაღებელი თვალითაც. ვინც მეტი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს სხვადასხვა წყაროდან, მისთვის უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ სააკაშვილის ეპოქა სრულდება. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი არ იბრძოლებს იმისათვის, რომ მისი ეპოქა არ დასრულდეს, მაგრამ ის, რაც ლოგიკურად სრულდება, ადრე თუ გვიან, რაღაცა ფორმით სრულდება ხოლმე. ზოგან ეს უფრო მეტხანს გრძელდება, როგორიც იყო ეს არაბულ ქვეყნებში და იქ განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში, ზოგან ეს უფრო სწრაფად ხდება. მე ვფიქრობ, საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ეს უფრო სწრაფად განვითარდება და სააკაშვილი უკვე ველარ მოახერხებს ყველაფრის ფასად ხელისუფლების შენარჩუნებას. მადლობა ღმერთს, რომ საერთაშორისო საზოგადოება დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, უფრო რეალისტურად უყურებს საქართველოში შექმნილ სიტუაციას. საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა უკვე კარგა ხანია ვიცით, რა მდგომარეობაშიც ვიმყოფებით. მთავარია, რომ ამ მდგომარეობიდან ქვეყანაში კატაკლიზმების შექმნის გარეშე, ქვეყნის დანგრევის გარეშე მოვიფიქროთ ყველამ გამოსავალი და ყველას პასუხისმგებლობაა ეს — ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისაც, საზოგადოებისაც, ოპოზიციისაც, მედიისაც და ნებისმიერი იმ ადამიანისა, ვინც ფიქრობს, რომ რაღაც წვლილი ან გავლენა უნდა მოახდინოს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე.

***— თქვენ აცხადებთ, რომ სააკაშვილის ეპოქა სრულდება, თუმცა თავად პრეზიდენტს ახალი კონსტიტუციის იმედით პრემიერის პოსტის დაკავების სურვილი აქვს. ფიქრობთ, რომ მას, როგორ არასანდო პოლიტიკოს, ამ გეგმის განხორციელებაში მხარს არ დაუჭერენ?***

— მოდით ასე ვთქვათ: თუ ჩვენი ამოცანაა ისევ დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, იქ ასეთ სტერეოტიპებს და სტანდარტებს არ იცნობენ, როგორიც სააკაშვილმა შემოგვთავაზა. ასეთებს იცნობენ, მაგალითად, რუსეთში, რომელიც არ არის მაღალი დემოკრატიის გამოხატულება მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთი რამ ხდებოდა არაბულ სახელმწიფოებში. ჩვენ სხვა ამოცანა დავისახეთ. იგივე სააკაშვილმა თავისი მნიშვნელოვნობა მსოფლიოს დაუმტკიცა იმით, რომ ის პროგრესული მოვლენა უნდა ყოფილიყო მსოფლიოსთვის.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ლავროვმა დეპუტატები აღაშფოთა

ნანა მიშელაშვილი

სერგეი ლავროვმა ქართველი დეპუტატები აღაშფოთა. რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტზე შეფასებები გუშინ საკანონმდებლო ორგანოში გაკეთდა.

სერგეი ლავროვის სოხუმში ვიზიტს დეპუტატები ოკუპაციის პოლიტიკის გაგრძელებად აფასებენ. სერგეი ლავროვის ვიზიტთან დაკავშირებით ბიუროს გახსნისთანავე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე. მისი შეფასებით, რუსეთის ხელისუფლება იმ სტილით და მანერით მოქმედებს, როგორც საბჭოთა ხელისუფლება მოქმედებდა ცივი ომის პერიოდში.

— ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთი ფუნდამენტურად მცდარი მიმართულებით სვლას აგრძელებს და იმ პოლიტიკას, რომელმაც რუსეთი შეიყვანა ღრმა, საერთაშორისო ჩიხში. ნაცვლად იმისა, რომ მათ ქართული მხარის შეთავაზება გაიზიარონ და ნაბიჯი გადადგან, რომ დიალოგისა და ურთიერთკომპრომისების გზით მოვაგვაროთ პრობლემები, რომელიც ჩვენ



ქვეყნებს შორის არსებობს, განაგრძობენ არასწორი მიმართულებით სვლას, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებით რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყანა ჩიხში შეიყვანა და მის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯების მიმართ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება უკვე ცალსახაა.

— სამწუხაროა, რომ რუსეთის ხელისუფლება იმ სტილით და მანერით მოქმედებს, როგორც საბჭოთა ხელისუფლება წლების განმავლობაში მოქმედებდა ცივი ომის პერიოდში იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა ხელოვნურ რეჟიმებს დასავლეთი არასდროს აღიარებდა, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბაქრაძის აზრით, რუსეთს არ გააჩია პოლიტიკური რესურსი და გამბედაობა, ადეკვატურად უპასუხოს ქართული მხარის შეთავაზებას დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით.

— ჩვენ ვთავაზობთ დიალოგს არა იმიტომ, რომ ვართ სუსტები ან საქართველოს ინტერესების დათმობას ვაპირებთ, პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ინტერესების დაცვის გზა და ვიცით, რა უნდა ვთქვათ ამ დიალოგის ფარგლებში და ქვეყნის ინტერესები როგორ დავიცვათ. სამწუხაროა, რომ რუსულ მხარეს არც სათქმელი და არც თავის დასაცავი ამ პროცესში არ გააჩნია, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რამდენსაც არ უნდა ეცადოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იქ გაკეთებული განცხადებებით და ე.წ. შეთანხმებებზე ხელის მოწერით ვერ შეცვლის იმ რეალობას, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია.

ბაქრაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ყველაფრის მიუხედავად, ქართული მხარე მზად არის რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგისთვის.

სერგეი ლავროვის ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთს არა აქვს საკმარისი ეკონომიკური არგუმენტები, ამიტომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პროცესის პოლიტიზირებას ახდენს.

— საქართველო მარტში მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა, ჩვენ გადავლახეთ ეს პრობლემები და ვთქვით, რომ ჩვენ ეკონომიკური არგუმენტები გვაქვს. სამწუხაროდ, რუსეთმა ვერანაირი არგუმენტი ვერ წარმოადგინა და იძულებულია პროცესის პოლიტიზაცია მოახდინოს, — ასეთია მაჭავარიანის შეფასება.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, ლავროვი ცდილობს ძველი ფირფიტა დააბრუნოს. მაჭავარიანის თქმით, სერგეი ლავროვი იძულებულია პატარა დიპლომატიური ეშმაკობები ჩაატაროს და სხვა საკითხზე გადაიტანოს ყურადღება.

— რუსეთი თავისი არასწორი პოლიტიკით ჩიხშია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოს თანხმობის გარეშე შეუძლია.

— არ მინდა იმის დაკონკრეტება, კონკრეტულად რა მექანიზმები არსებობს რუსეთის ვმო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანებისთვის. შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი: ეს შესაძლებლობები დაფუძნებულია სამ პრინციპზე, რომლებითაც მოქმედებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

რუსეთის საგარეო უწყების შეფის ამ განცხადებას მიხეილ მაჭავარიანი ასე პასუხობს: „უკანა კარიდან რუსეთს შეძრომა თუ უნდა, შევიდეს, იქ სხვა დამატებითი ვალდებულებებია“.

— მაშინ ჩაითვლება, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სამართლიანად ეწინააღმდეგებოდა ვმო-ში რუსეთის შესვლას, არის საქართველო. რუსეთში ხელოვნურად არის დაბლოკილი ქართული პროდუქცია. ორი მეზობელი ქვეყანა, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში საბაჟო გამშვებ პუნქტებს უნდა აკონტროლებდეს. ვმო-ში მარტო ნაურუს, ვენესუელას და ნიკარაგუას აღიარებით ვერ შეხვალ, — აღნიშნა მაჭავარიანმა.

ვიცე-სპიკერის თქმით, სერგეი ლავროვმა კარგად იცის, რომ საქართველო მართალია.

— რაც არ უნდა ილაპარაკო ამ კაცზე, ის ჭკვიანი კაცია და მან იცის, რომ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში საქართველო აბსოლუტურად მართალია, ამიტომ თუ მათ უნდათ უკანა კარიდან შეიპარონ, ეს მათი უფლებაა, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

რაც შეეხება სეპარატისტთა საგარეო უწყების ხელმძღვანელის მაქსიმ ღვინჯიას განცხადებას, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკავშირდება, პირველი ვიცე-სპიკერი ამ საკითხსაც გამოეხმაურა.

უფრო სწორედ, მაქსიმ ღვინჯიას განცხადება ხუმრობად მიაჩნია პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერს.

— მაქსიმ ღვინჯიას განცხადებაზე კომენტარი აბა როგორ გავაკეთო? ფაქტია, რომ თავად რუსეთმა თქვა უარი იმ გზაზე, როდესაც ფულს იხდიდა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე,— აღნიშნა მაჭავარიანმა.

სააგენტო „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთს კიდევ სამი ქვეყანა აღიარებს, თუმცა, მას აღნიშნული სახელმწიფოები არ დაუკონკრეტებია.

— ჩვენ ველოდებით, რომ დაახლოებით სამი ქვეყანა აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ეს აფრიკული სახელმწიფოები არ არიან, — განაცხადა მაქსიმ ღვინჯიამ.

აქამდე აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა, ნაურუმ, ვენესუელამ და ნიკარაგუამ.

მიხეილ მაჭავარიანის თქმით, აფხაზებს ფული არა აქვთ, ფული რუსეთს უნდა სთხოვონ, რუსეთმა კი განაცხადა, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაში ფულს აღარ გადაიხდის. მაჭავარიანის თქმით, რუსეთის მიერ ეს პირდაპირ არ იყო ნათქვამი, მაგრამ სტრიქონებს შორის კითხვა ვინც იცის, ამას მიხვდებოდა.

— მაქსიმ ღვინჯია ფულს იმაში იღებს, რომ იაროს და ყველას აფხაზეთის აღიარება შესთავაზოს. ის თავის ამომრჩევლის წინაშე იმართლებს თავს. არ ვიცი, მაქსიმ ღვინჯია ალბათ ხუმრობის ხასიათზე იყო. ღვინჯიამ და სხვებმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზებსა და ქართველებს მომავალი ერთად აქვთ, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

# ვინ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე კახა სეთურიძესთან**

***— ბატონო კახა, თქვენი პარტიის ინფორმაციით, რამდენიმე ქვეყანა აფხაზეთის აღიარებას აპირებს. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

— ამ ტენდენციამ ბოლო დროს იჩინა თავი. ვგულისხმობ ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან ბიზნესმენების აფხაზეთში ჩასვლას და ბიზნესის დაწყებას. ხელისუფლების უუნარობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის გვერდის ავლით ხდება აფხაზეთთან პირდაპირი კონტაქტის დამყარება. დროში უცნაურად დაემთხვა ჩვენი განცხადება და რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის არაღიარებული მთავრობის განცხადება, რომ სამი ქვეყანა მათ დამოუკიდებლობას აღიარებს.

***— რომელმა ქვეყნებმა შეიძლება აღიარონ?***

— ეს არ დაუკონკრეტებიათ აფხაზებს.

***— თქვენი ინფორმაციით?***

— ჩვენ ასეთი კონკრეტული ინფორმაცია არ გვაქვს. ეს არის დასკვნა იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც ხდება. ებრაელი ბიზნესმენები უკვე მერამდენედ იყვნენ ჩასულები აფხაზეთში. საქართველოს წყლებში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რამდენიმე თურქული თევზსაჭერი გემი იჭერს თევზს და შემდეგ თურქეთში გააქვს. ბუნებრივია, თურქული მხარე ამაზე რეაგირებას ვერ ახდენს. თურქეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაგრამ მათი არგუმენტი ასეთია: თუ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა, საქართველომ უნდა მიიღოს ზომები. რადგან ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ, ის ბიზნესმენები დაუსჯელად განაგრძობენ საქმიანობას. ბუნებრივია, როდესაც დიდ კაპიტალს დებენ, მათ აქვთ განცდა, რომ ეს კაპიტალი დაიცვან. რა თქმა უნდა, რუსეთიც ხელს უწყობს ამ პროცესს, რომ რაც შეიძლება მეტმა ქვეყანამ აღიაროს.

***— თქვენი ინფორმაცია აღიარებასთან დაკავშირებით რამდენად სარწმუნოა?***

— ამას დრო გვიჩვენებს. აფხაზების განცხადების შემდეგ ჩვენი ეჭვები კიდევ უფრო გამყარდა. ჩვენი წყარო ევროპიდან არის. ჩვენი კავშირების შესახებ ევროპასთან ცნობილია და აქედან გამომდინარე ვსაუბრობთ. ქვეყნისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყო წყარო. მთავარია, არ მოხდეს კიდევ ერთი აღიარება. თუ ეს პროცესი ასე თვითდინებაზე მივუშვით, ბუნებრივია, აღიარების პროცესი გაგრძელდება. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ბერკეტებზე, რომელიც უნდა გამოვიყენოთ.

***— მეტი უნდა იყოს თანამშრომლობა მეგობარ სახელმწიფოებთან?***

— რასაკვირველია. მეგობრები მტრად არ უნდა გადავიკიდოთ. ჩვენი კრიტიკის საგანი სწორედ ის არის, რა ნაბიჯები იდგმება ხელისუფლების მხრიდან ამის საწინააღმდეგოდ. იმ ქვეყნების ბიზნესწარმომადგენლებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ და არ გაქცეულან, ისეთ გარემოს უქმნიან, რომ დატოვონ ბიზნესი და გაიქცნენ. ბიზნესის „შეწერა“ ხდება. ამის ნათელი მაგალითია ის ბიზნესმენები, რომლებიც დღეს ციხეში სხედან.

***— ებრაელ ბიზნესმენებს გულისხმობთ?***

— დიახ, ებრაელ ბიზნესმენებს. ისრაელი იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც საქართველოს იარაღით ამარაგებდა. დღეს ის ბიზნესი, რომელიც აფხაზეთში შევიდა, რამდენიმე წლის წინ სწორედ ისინი იყვნენ, რომლებსაც მოლაპარაკება ჰქონდათ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან, ვგულისხმობ სამხედრო პირებს, მათი შეიარაღება შემოვიდა საქართველოში. ახლა ეს კომპანია თანამშრომლობას აფხაზებთან აპირებს.

***— ამბობენ, შეიძლება პრეზიდენტმა გაათავისუფლოს ებრაელი ბიზნესმენები, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— შეიძლება გაათავისუფლოს ამდენი აყიოტაჟის შემდეგ. რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში არიან. ასეთ განცხადებებს აკეთებენ: თუ შეწყალებას დაწერენო. ბუნებრივია, არ უნდათ 100 მილიონის გადახდა და მიმდინარეობს მოლაპარაკება. თუ ისინი დათმობენ ამ თანხას, მაშინ გაათავისუფლებენ. მათი დაკავებაც ამას ემსახურებოდა, ამიტომ ჩამოიტყუეს. სამარცხვინოა, როდესაც პრემიერ-მინისტრი და მინისტრი რომ იქნება ჩართული ამ პროცესში.



***— ბატონო კახა, თქვენი პარტია „რვიანის“ ფორმატში მონაწილეობს. როგორც ვიცი, საუბარია პირველ ნაბიჯს ვინ გადადგამს...***

— ჩვენი მხრიდან ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მორიგი შეთავაზება გავაკეთეთ. ხელისუფლების აბსურდულ ბრალდებებს, რომ თითქოს ოპოზიციას სურს მხოლოდ თბილისის ოფისებში იყოს და არავითარი მაჟორიტარი დეპუტატები არ გვინდა, ამის საპირწონედ ორი შემხვედრი წინადადება წარვუდგინეთ, რომელიც უშუალოდ მაჟორიტარებს ეხებათ. ბუნებრივია, ახლა მათგან ველოდებით პასუხს. ჩემი ინფორმაციით, იმ ზეწოლიდან გამომდინარე, რომელიც ხელისუფლებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ხდება, ისინი აპირებენ მოლაპარაკებების გაგრძელებას დღესასწაულების შემდეგ. ბუნებრივია, ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვართ, მაგრამ ჩვენ მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდებით ჩვენი შეთავაზებების ირგვლივ. სხვა შემთხვევაში მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის არ შედგება.

***— ოპოზიციას, როგორც ვიცი, ე.წ. წითელი ხაზები აქვს. თუ მათი მხრიდან დათმობა არ იქნა, არც ოპოზიციის მხრიდან, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— დათმობა ორივე მხრიდან უნდა იყოს, მოლაპარაკება ამას გულისხმობს, მაგრამ ჩვენი 6 შეთავაზება ორ მთავარ შეთავაზებაზე დავიყვანეთ, რომელიც არის საარჩევნო სიების ბიომეტრიული მონაცემებით ფორმირება და სისტემა, რომელიც გულისხმობს 50 პროცენტიან ფორას, ამის უარყოფა. თუ ამ მიმართულებით აპირებენ მოლაპარაკებების განახლებას, ჩვენ მზად ვართ. ისინი საუბრობენ სუფთა ფურცლის პრინციპზე, მაგრამ ის, რაც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, ეს დაცინვა იყო. რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ მათ ისეთი წინადადებები წამოაყენეს, რომელსაც მოლაპარაკება საერთოდ აღარ სჭირდება. ხელისუფლებას ეს შეუძლია ნებისმიერ დროს ჩვენს გარეშე გააკეთოს. როდესაც ასეთი სიტუაციაა, ეს ნიშნავს, რომ ან არ სურთ შეცვალონ არსებული საარჩევნო გარემო, ან არასერიოზულად ეკიდებიან. თუმცა, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. მათი მხრიდან მოდის მესიჯები, რომ მოლაპარაკების გაგრძელება უნდათ, რაც ნიშნავს, რომ ზეწოლის ქვეშ არიან და გარკვეულ უხერხულობასაც გრძნობენ. ყველა საერთაშორისო განცხადება იწყება და მთავრდება იმით, რომ გამოასწორონ საარჩევნო გარემო, რომელიც ქვეყანაშია. რაც შეეხება იმას, რა იქნება შემდეგ თუ მოლაპარაკება არ შედგა, „რვიანის“ თემატური ჯგუფი, რომელიც უშუალოდ საარჩევნო გარემოზე მუშაობს, თუ ეს პროცესი ჩიხში შევა, „რვიანი“ სხვა ფორმაციაში გადავა. ჩვენი პარტიის ხედვით სხვა ბევრი საშუალებაა, მაგალითად, როგორ მოვიდა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში.

***— არ გამორიცხავთ ამ გზას?***

— სამწუხაროა, მაგრამ მე მაქვს ჩემი კონსტიტუციური უფლება. თუ ხელისუფლება მეუბნება, გავაყალბებ კიდეც, მოგატყუებ კიდეც და სულ მე ვიქნები 20 თუ 50 წელი, ჩვენ რითი უნდა დავიცვათ თავი. არსებობს პროტესტის რაღაც გზები, რომელიც უნდა გამოვიყენო.

***— შეიძლება „რვიანის“ პოზიციაც ეს იყოს?***

— ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ არ გამოვრიცხავთ არც ერთ მშვიდობიან გზას. მანიფესტაციებს, აქციებს, რომელიც იქნება ამ მიმართულებით და არა „მიშა, გადადექი“ ეს გზა უკვე გავიარეთ. მიტინგები კონკრეტული მოთხოვნებით გაიმართება, რომელიც არჩევნებს და არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას შეეხება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა და საზოგადოების ინფორმირებულობა. გავედით რეგიონებში, პირველი შეხვედრა ქუთაისში გვქონდა, შემდეგი გორში იქნება.

***— როგორია მოსახლეობის განწყობა?***

— ინფორმაციულ ვაკუუმში არიან. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ინფორმაცია მივიტანოთ თითოეულ ადამიანამდე.

***— „რვიანის“ ბოლო ვადა რა არის?***

— უსასრულობამდე ვერ გაიჭიმება ეს მოლაპარაკებები. შეთანხმება თავიდანვე იყო, რომ მაისის ბოლო არის ბოლო ვადა. ამის შემდეგ პროცესი სხვა ფორმატში გადადის. მაისის ბოლოს უნდა შევთანხმდეთ და არა პირიქით, მაისის ბოლოსთვის კი არ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები. ეს ერთი თვე არის ის ვადა, რომელმაც უნდა აჩვენოს, რას აპირებს ხელისუფლება. თუ პროცესი ჩიხში შევა და ხელისუფლება იტყვის, რომ არ აპირებს არაფრის შეცვლას, მაშინ „რვიანს“ მოგვიწევს კონსულტაციების გამართვა, ვინ რას უჭერს მხარს.

თქვენი ზარით შეეწიეთ ბებნისის დედათა მონასტრის მშენებლობას.
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულება ერთი ლარი

# სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო"

| |
|---|
| [illegible] |

| |
|---|
| [illegible] |

| |
|---|
| [illegible] |

| |
|---|
| [illegible] |

| |
|---|
| [illegible] |

# ოპოზიციის მოთხოვნები გაუგებარია



შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, სულ მალე ოპოზიციის ნაწილი იწყებს ფართომასშტაბიან აქციებს, რაც მათი თქმით, ხელისუფლებისთვის იქნება საბედისწერო, თქვენ თუ იზიარებთ ამ აზრს და თუ აპირებთ შეუერთდეთ აქციებს?***

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია ამ ადამიანების მოტივაცია, თუ რა მოტივით გამოყავთ ამ ადამიანებს ხალხი ქუჩაში. მე მესმის, რომ მათ უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა, ისინი აანონსებენ რევოლუციას, მაგრამ საზოგადოებაში ეს განწყობა პრაქტიკულად არ არსებობს და მე მხარსაც ვერ დავუჭერ რევოლუციას, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ეს არის მცდარი გზა. ეს გზა ჩვენს სახელმწიფოს დააბრუნებს ქაოსისა და არეულობისკენ. ჩვენ კარგად გვახსოვს, სამოქალაქო დაპირისპირებამ რა მოუტანა საქართველოს. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ამ აქციის ორგანიზატორებს უფრო მეტი იმედი არა ხალხის, არამედ იმედი აქვთ უცხოური კაპიტალის. სამწუხაროდ, ეს არის რუსეთი. არ არის გამორიცხული, რომ ორი დაპირისპირებული მხარე, ვგულისხმობ ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის გუნდს, მოუმზადონ საზოგადოებას სიურპრიზი და მოახდინონ გაერთიანება და ერთიანი ძალებით დაიწყონ მოქმედება. ეს ძალიან მარტივად არის მოსალოდნელი იმიტომ, რომ ორივე პოლიტიკური გუნდი მითითებებს იღებს კრემლიდან.

***— როდესაც ლაპარაკობთ ხალხის ქუჩაში გამოყვანაზე, ვის გულისხმობთ ხალხში, ალბათ, მათი პარტიის წევრებს და მათ ნათესავებს?***

— მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ მათ დაძახილზე ვინმე გამოვიდეს ქუჩაში, მათი მხარდამჭერები მხოლოდ მათ ოფისებში მოტრიალე ხალხით შემოიფარგლება. ის, რომ ასეულობით ადამიანი ვიხილოთ ქუჩაში, ეს ნამვილად არ მოხდება, თუნდაც იყოს ხალხის ფინანსურად დაინტერესება. საზოგადოება უკვე აღარ ენდობა ამ ადამიანებს და მათი ყველა დაპირება და მცდელობა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, იქნება ფუჭი. მე ცალსახად ვამბობ, რომ საქართველოში რევოლუცია არ მოხდება, ვინაიდან ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს, არა იმიტომ, რომ ხალხი ამ ხელისუფლებით კმაყოფილია, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებას ოპოზიციამ ძალიან ბევრჯერ გაუცრუა იმედები. სამწუხაროა ის, რომ ოპოზიციას არა აქვს რეიტინგი, არ არის ქვეყანაში ისეთი მედიასაშუალებები, რომ მათი ოპოზიციისადმი მხარდაჭერა იყოს გადამწყვეტი ამ მოქმედებაში. საზოგადოება უკვე დაიღალა ამ არაფრისმომცემი მიტინგებით და დაპირებებით. ამიტომაც გამორიცხულია, რომ ოპოზიციამ მოახერხოს ამ გზით ხელისუფლების შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს უმძიმესი სოციალური პირობები და სააკაშვილის ხელისუფლებით ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არის უკმაყოფილო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ხელისუფლების ცვლილებას ხედავს მხოლო და მხოლოდ არჩევნების გზით. არც იმას გამოვრიცხავ, იმდენად მომწიფდეს ქვეყანაში სიტუაცია, რომ საზოგადოებას არც დასჭირდეს ოპოზიციის მხარდაჭერა და სოციალურ ნიადაგზე გამოვიდეს ხალხი ქუჩაში. ცალსახად შემიძლია განვაცხადო, რომ ბურჯანაძისა და გაჩეჩილაძის დიდი მონდომების მიუხედავად, ქვეყანაში არანაირი ცვლილება არ მოხდება, ამას თვითონ ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს.

***— ფაქტია, რომ ქვეყანაში რაღაც ნამდვილად არის შესაცვლელი, მაგრამ თქვენ საუბრობთ ჯანსაღ ოპოზიციაზე, ვის მიიჩნევთ ჯანსაღ ოპოზიციად?***

— მე მიმაჩნია, რომ ჯანსაღი ოპოზიცია უნდა გაემიჯნოს ამ ვაი-ოპოზიციონერებს და ამის შემდგომ უკვე ოპოზიციის ჯანსაღმა ნაწილმა საზოგადოებას გააცნოს საკუთარი ხედვა და საზოგადოებასთან ერთად გადადგას ის ნაბიჯები, რაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს წაიყვანს სწორი განვითარებისკენ. საჭიროა ოპოზიციის გააქტიურება და საზოგადოებასთან მათი მჭიდრო კავშირი, რაც პირველ რიგში არის აცილებელი.

***— როდესაც ბურჯანაძეზეა ლაპარაკი, მის ყველაზე დიდ დანაშაულად რუსეთთან კავშირი სახელდება, თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ხელისუფლების წყალობით სწორედ რუსეთის ხელშია ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი. საინტერესოა, რომელი უფრო დიდი დანაშაულია, პარტნიორობა რუსეთთან ბიზნესში თუ პარტნიორობა პოლიტიკაში?***

— ხელისუფლებამ თავისი უგნური მოქმედებებით 2008 წელს ქვეყანას დააკარგვინა ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ეს იყო რუსული პროვოკაცია, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება ძალიან მარტივად წამოეგო. რაც შეეხება იმ სტრატეგიულ ობიექტებს, რომელიც ასევე ჩვენი ხელისუფლების წყალობით აღმოჩნდა რუსეთის ხელში, რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. სწორე ამის გამო ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლებას ასეთ უკანონო ქმედებებში და მათ უნდა მოვთხოვოთ პასუხი. თუმცა მიმაჩნია, რომ იგივე ბურჯანაძე, იგივე ნოღაიდელი, ისინი პირდაპირ ასრულებენ კრემლის მითითებებს და როგორც ჩანს, ამ ადამიანებს გადაწყვეტილი აქვთ, რუსეთს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი, მოახდინოს საქართველოს საბოლოო ოკუპაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ყველა უკანონო გარიგება, რომელიც არ შეიცავს საქართველოს ინტერესებს, იქნება ბათილად ცნობილი და არცთუ დიდი ხანი მოუწევს რუსეთს საქართველოს სიმდიდრეებით ხელის მოთბობა. მე მინდა, რომ ჩვენი საზოგადოება დროზე მოეგოს გონს და ყველაფერს დაერქვას სახელი. თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, გული შეგვტკივა ჩვენს ქვეყანაზე, პირველ რიგში ჯანსაღმა ოპოზიციამ უნდა ჩამოიშოროს ფსევდოოპოზიცია და არჩევნების გზით მოვახდინოთ სააკაშვილის ხელისფლების ჩანაცვლება. ეს ნამდვილად არის შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციამ თავისი ქმედება წარმათა სწორად. საზოგადოებაში იმდენი უკმაყოფილო ადამიანია ხელისფლების პოლიტიკით, რომ ისინი აუცილებლად დაუდგებიან ოპოზიციას მხარში და მოხდება ხელისუფლების ცვლილება.

# ვინ აფინანსებს ქართულ პარტიას

ქეთი ხომერიკი

ბოლო ხანებში არ წყდება საუბრები „ქართული პარტიის" ირგვლივ, კერძოდ, იმაზე, თუ ვინ აფინანსებს პარტიას, რომელსაც მდიდრების პარტიაც კი უწოდეს. დღეს ამ საკითხზე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი და უამრავი ვერსია არსებობს. წარსულში არსებული ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, „ქართულ პარტიას" რუსი მაღალჩინოსნები აფინანსებენ, მეორე ვერსიით კი „ქართული პარტია" თავად ხელისუფლების სურვილით შეიქმნა და, შესაბამისად, მას მმართველი გუნდი აფინანსებს. მესამე ვერსიით „ქართულ პარტიას" ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ახლა კი თავადვე ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი ქიბარ ხალვაში აფინანსებს. ითქვა ისიც, რომ „ქართულ პარტიას" ყოფილი თავდაცვისა და შს მინისტრ ოქრუაშვილზე წარსულში განაწყენებული ბონდო შალიკიანი აფინანსებს. ამბობენ, შალიკიანს ოქრუაშვილისთვის უთქვამს, დავივიწყოთ ძველი წყენა და საერთო საქმისთვის, ანუ დღევანდელი ხელისუფლების მოსაშორებლად ერთიანი ძალებით ვიბრძოლოთო. იმასაც ამბობენ, რომ „ქართულ პარტიას" აფინანსებს შვედი ბიზნესმენი, ვინმე ფრედრიკ პოლსენი, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლევან გაჩეჩილაძეს 2007 წლის აქციების დროს 2 მილიონი ასესხა. რამდენიმე დღის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ქართულ პარტიას" მაკა ასათიანის მეუღლე კონსტანტინე გოგელია აფინანსებს.

„ახალი თაობა" ამ საკითხით დაინტერესდა და ეცადა გაერკვია, ბოლოს და ბოლოს, რეალურად ვინ აფინანსებს „ქართულ პარტიას". ჩვენ „ქართული პარტიის" პოლიტიკურ მდივან ეროსი კიწმარიშვილს დავუკავშირდით.

***— ბატონო ეროსი, იქნებ გაგვაგებინოთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ აფინანსებს „ქართულ პარტიას", შვედი ბიზნესმენი ფრედრიკ პოლსენი, მაკა ასათიანის მეუღლე კონსტანტინე გოგელია, ორივე ერთად თუ საერთოდ ვინმე სხვა?***

— მე ის შვედი ბიზნესმენი, პოლსენი, ძალიან მომწონს. მას ორი წლის წინ შვეიცარიაში შევხვდი და, მინდა გითხრათ, რომ ის მართლა ძალიან კარგი ადამიანია. პოლსენი მეგობრობს საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. მას საქართველოში ბიზნესიც კი აქვს. ის დაკავშირებულია ისეთ ბიზნეს-კომპანიებთან, რომლებიც ძალიან დაახლოებული



არიან სააკაშვილთან. ეგ საწყალი ასეთ დღეში ჩააგდეს მხოლოდ იმის გამო, რომ თავის დროზე ლევან გაჩეჩილაძესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. რაც შეეხება ფინანსებს, ჩვენ ეგ პრობლემა გადაწყვეტილი გვაქვს და თავიდანვე ბევრჯერ გვითქვამს, რომ ეგ პრობლემა არ გვიდგას. როდესაც პარტიის შექმნა დავიწყეთ, მაშინვე ვთქვით, რომ ვიცოდით, ლეგალურად პარტიის დაფინანსების პრობლემები როგორ გადაგვეწყვიტა. თუ ვინმეს ამ დაფინანსების მასშტაბებზე პრეტენზია აქვს, მოვიდნენ და იკითხონ. რაც შეეხება ისინუაციებს, ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება ერთი მარტივი მიზეზის გამო არ შეიძლება — სააკაშვილი, რომელიც 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში კანონიერი ქურდების ფულს იღებდა, ვისზე რას ამბობს საერთოდ. ადამიანებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ბიზნესში ერთი დღეც კი არ უმუშავიათ. მათ ერთი თეთრის ღირებულების ფასეულობა არ შეუქმნიათ. ეს პოლიტიკოსები 20 წლის უწყვეტ რეჟიმში ერთი პარტიიდან მეორეში მოგზაურობენ, ხან ერთ სახელისუფლებო გუნდში არიან, ხან — მეორეში და იმ ადამიანების პრეტენზიები მე ბიზნესთან, ფულთან ან სხვა თემასთან დაკავშირებით როგორ მივიღო? პარტია, რომელმაც ოფიციალურად გამოაქვეყნა და ახლახან იყო ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ნაჩვენები კიდეც ის, რომ არავინ იცის, საიდან მოდის მათი თანხები. მოდით, მმართველმა პარტიამ გააკეთოს გამჭვირვალედ ეს ყველაფერი და შემდეგ ვილაპარაკოთ დღეს არსებულ სხვა პოლიტიკურ ძალებზე. ამიტომ მე ამ საკითხს სერიოზულად არ აღვიქვამ. რაც შეეხება გოგელიას, მიმაჩნია, რომ ის „ქართული პარტიის" მშენებლობაში აქტიურად არის ჩართული და ვთვლით, რომ ასეთი ტიპის პატრიოტები რაც მეტი გვეყოლება, წინ მით უფრო სწრაფად წავალთ. ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს და ვფიქრობთ, ამ გეგმებს განხორციელება უწერია.

# სააკაშვილის ეპოქა სრულდება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თუ მას ახლა ხელი აქვს მოწერილი, რომ პროგრესული კი არა ყველაზე რეგრესული მოვლენა უნდა გახდეს და თან ახალგაზრდა ასაკში, ეს სხვა თემაა და ეს სულ სხვა განზომილებაში აყენებს და ძალიან დიდი საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას. მაგრამ, თან გინდა გერქვას დემოკრატიული სახელმწიფო და თან კონსტიტუციურად ირგებდე ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას ისე, რომ მუდმივად ხელისუფლებაში უმაღლეს პოსტზე ყოფნის შესაძლებლობა გქონდეს, ასეთი რამ არ ხდება. როდესაც ჩვენი ოპონენტები გვეუბნებიან ხოლმე, რომ აი, რომელი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტობის შემდგომ პრემიერ-მინისრის პოსტზე ყოფნა აღარ შეიძლება, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ეს არის დაუწერელი კანონი. თუ სააკაშვილი ან მისი რომელიმე მომხრე მეტყვის, რომ კლინტონი ნაკლებად კარგად მართავდა ქვეყნას, ვიდრე სააკაშვილი, მე ვერანაირად ვერ დავუჯერებ და არც არავინ დაუჯერებს. ლოგიკურია, როცა უმაღლეს თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწურება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან უნდა განიცადოს ფერისცვალება და ახალ თანამდებობაზე მოგვევლინოს. თუ ღიად ვაწერთ ხელს, რომ ერთ დროს დემოკრატიის შუქურა სააკაშვილი გადაიქცევა ავტორიტარიზმის მებაირახტედ, ეს სხვა თემაა და ეს არანაირად არ უნდა დავუშვათ.

***— ფაქტია, რომ ოპოზიცია პოლიტიკურ რვიანს დიდ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს და ელოდება მაისის ბოლოს, როცა გარკვეული შედეგი უნდა დაიდოს.***

— ჩვენ იმ ვადას, რომელიც ითქვა, ბოლომდე პატიოსნად მივყვებით, ისევე, როგორც მოლაპარაკების პროცესში არ მიუცია არც ერთი მიზეზი პოლიტიკურ რვიანს ხელისუფლებისათვის, რომ მოლაპარაკებები ჩაეშალა. როცა ჩვენ ეს მიზეზი არ მივეცით, მან ხელოვნური მიზეზი მოიგონა, რათა მოლაპარაკების მიზეზი შეეწყვიტა. თქვენ ხედავთ, როგორი აქტიურია საერთაშორისო საზოგადოება ამ მიმართულებით. მე ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული პოლიტიკური მომენტია და ამ მომენტის კარგად გამოყენება უნდა მოხდეს. ყველა იმ ადამიანს ვეტყვი, ვინც პოლიტიკურ რვიანს უკიჟინებს ხოლმე ამ მოლაპარაკებათა პროცესის გამო, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, რომ ყველა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მაღალი წარმომადგენელი აკეთებდეს ძალიან სერიოზულ და სოლიდურ განცხადებებს საქართველოში მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით და ამ დროს საქართველოში არ მოიძებნებოდეს სერიოზული პოლიტიკური ძალა, სერიოზული მოთამაშე, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მძიმე რამ იქნებოდა. ასე რომ, პასუხისმგებლობა ყველას აქვს, ყველა გზის მომხრე პოლიტიკოსს და ყველა ძალას. ეს პროცესი აუცილებლად უნდა მომხდარიყო და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებები შედეგით დასრულდეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოხლოდ რვიანზე არ არის ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდეს მოტივაცია, თუნდაც რვიანის მოქმედების შედეგად, რომ ისინი ქვეყანას მაქსიმალურად დაეხმარონ გარედან, მაგრამ დანარჩენს როგორ მოვახერხებთ და რას მივაღწევთ, ეს გამოჩნდება. მაისის ბოლომდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. არათუ რეალური კონტურები უნდა გამოჩნდეს, არამედ კონკრეტული შეთანხმება უნდა დაიდოს, თუ ამას რაიმე პერსპექტივა აქვს საერთოდ. იმიტომ, რომ მაისის ბოლოს, თავის დროზე, როდესაც გაჩნდა ე.წ. ზღვარი მიმდინარე მოლაპარაკებებისა, გაჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ მერე მოახლოებულ არჩევნებთან ძალიან ახლოს არ დაწყებულიყო საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ფაციფუცი. მერე იქიდან ვინ რას გააპარებს, ამის თვალის მიდევნებაც კი ძნელი ყოფილიყო. თუ შეთანხმება შედგება, მერე მისი საკანონმდებლო დონეზე ასახვაც უნდა მოხდეს მშვიდ ვითარებაში.

***— სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ისე გაიგო, რომ ეს დასკვნა რუსეთისთვის დაიწერა. ანუ ამერიკამ რუსეთს მიანიშნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უნდა ჩანაცვლდეს და რომ სააკაშვილი არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში არც ერთ თანამდებობაზე.***

— მე არ დავეთანხმებოდი ასეთ ინტერპრეტაციას, პირიქით, ვფიქრობ იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს საბედნიეროდ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ აქვთ სტრატეგიული ინტერესები და შესაბამისად, მათი ზრუნვის საგანი არის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის დამკვიდრება საქართველოში. ღმერთმა ნუ ქნას, რომ პარტნიორმა სახელმწიფოებმა ჩვენზე ხელი ჩაიქნიონ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყანა ფინანსურად წელში გაწყდებოდა. დეპარტამენტის დასკვნა იყო ძალიან მკაცრი, ძალიან მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი, მაგრამ ეს, ცხადია, არ იყო რუსეთის ინტერესისთვის. ეს იყო საქართველოს ინტერესისთვის, საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინტერესისთვის და ჩვენ ეს დასკვნა სწორედ ასე უნდა გავიგოთ და არა ისე, რომ ამერიკამ რუსეთს დაუთმო საქართველოში ასპარეზი. ეს აბსოლუტურად არასწორ პოზიციად მიმაჩნია. დემოკრატიის გარდა, ქვეყნის სხვანაირი განვითარების გზა არის ქაოსის, უბედურების, დაპირისპირების გზა, ან ვიღაცის ვასალად ყოფნის გზა, რომელიც, ვფიქრობ, ჩვენთვის არანაირად არ უნდა იყოს მომხიბვლელი.

***— რამდენად პერსპექტიულად გეჩვენებათ შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნა?***

— მე პირადად ყველანაირ არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია მანამ, სანამ საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო არ შეიცვლება. იგივე კანონმდებლობა იყოს, იგივე გარემო, იგივე ხელისუფლება და ვადამდელ არჩევნებს ითხოვდე, ასეთ შემთხვევაში პირდაპირ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ დღეს ხელისუფლებას შეიძლება ჰაერივით სჭირდებოდეს ვადამდელი არჩევნები, სანამ რაიმე ბერკეტები დაუთმია. ძალიან დაფიქრებულად უნდა იმოქმედოს ყველამ, რადგან ნებსით თუ უნებლიეთ, სააკაშვილის მზაკვარი ხელისუფლება ამას სათავისოდ გამოიყენებს.

***— მართლაც იკვეთება ხელისუფლების შიგნით ორი პოლუსი?***

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე მსგავსი შეხედულებები ცოტა გადაჭარბებულია. ის, რომ მმართველი ძალის შიგნით ფიქრი დაწყებულია სააკაშვილის შემდგომ ეპოქაზე, ამას დაგიდასტურებთ ნამდვილად. ძალიან მაღალი რანგის შეხვედრებზე, მათ პირდაპირ ეუბნებიან, რომ უნდა მოხდეს ნორმალური დემოკრატიული გადაცემა ხელისუფლებისა. ხელისუფლების წარმომადგენლებს კი არ მოსწონთ ეს ტერმინი და ამბობენ, რომ გადაცემა ნიშნავს ერთი ხელიდან მეორე ხელში გადაცემას, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ცხადია, ხელისუფლების შიგნით ალბათ არის გარკვეული დაჯგუფებები, რომლებიც ფიქრობენ, როგორ გადაირჩინონ თავი და დარჩნენ ხელისუფლებაში სააკაშვილის წასვლის შემდგომაც. ის მოლოდინი, რომ დღეს უცებ ხელისუფლება გაიყოფა და ვიღაცა ოპოზიციაში აღმოჩნდება და ვიღაცა ხელისუფლებაში, მე ნაკლებად მაქვს და მე მგონი, დღეს ამას საფუძველიც არ აქვს. ალბათ, ამ სახელისუფლებო ჯგუფებს შორის მიდის ფარული ბრძოლა, ვინ უფრო გავლენიანი აღმოჩნდება.

***— თქვენი აზრით, დაასრულებს თუ არა სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადას? ფაქტია, ორი ოპოზიციური ძალა, ქართული პარტია და სახალხო კრება, პროცესების რევოლუციურ განვითარებაზე მიანიშნებენ.***

— კი არ მიანიშნებენ, ამაზე პირდაპირ ლაპარაკობენ. რევოლუცია, იცით როგორი მოვლენაა, როცა მწიფდება, ის აუცილებლად ხდება. აქ რომ ეს სიტუაცია მომწიფებული იყოს, მერწმუნეთ, ახალი თარიღების დათქმა საჭირო არ გახდებოდა. რევოლუცია აქამდეც განხორციელდებოდა. რადგან ვხედავთ, რომ თარიღიდან თარიღამდე ხდება დროის გადაწელვა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ვიღაცას აქვს პროცესების რევოლუციური განვითარების სურვილი, მაგრამ ამის შესაძლებლობას და რესურსს ვერ ხედავს. აქედან გამომდინარე, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილმა დროზე ადრე დაასრულოს ხელისუფლებაში ყოფნა, რადგან მართლაც ალოგიკური ხდება მისი ქმედებები. ძალიან ბევრი უსამართლობა გროვდება. ქართული დემოკრატიისთვის ყველაზე ნიშნული საქმე იყო სანდრო გირგვლიანის საქმე, რომელზეც სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება გუშინ გამოაქვეყნა. ბევრი დოკუმენტი იდება, რომ აქ არ არის ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, როგორიც უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის პრეზიდენტობის დასასრული ახლოა, მაგრამ ეს ვადამდე მოხდება თუ ვადაზე ადრე, ამის ალბათობას თანაბრად დავუშვებდი. ასე ,რომ აპოკალიფსურად ვერ ვხედავ იმას, რომ ის წავა ვადაზე ადრე. მე პირადად მირჩევნია ვადის ამოწურვით მოხდეს ხოლმე ხელისუფლების ცვლა.

# ელისო ბოლქვაძე საუკეთესოებს ეძებს

ეკა ირემაშვილი



**ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა შორის საუკეთესოებს ეძებს. როგორც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „ახალ თაობას" განუცხადეს, ელისო ბოლქვაძე საერთაშორისო კონკურსებსა და სტიპენდიებზე წარსადგენად ახალგაზრდა შემსრულებლებს არჩევს.**

ამ ინიციატივას მხარს უჭერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მოსმენას მინისტრი ნიკოლოზ რურუაც დაესწრო. ახალგაზრდების უმეტესობა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პირველ ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში (ყოფილი ნიჭიერთა ათწლედი) სწავლობს და აქვს განსაკუთრებული მიღწევები კლასიკურ მუსიკაში.

ელისო ბოლქვაძის მიერ ჩატარებული მოსმენის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევა საერთაშორისო ქსელში გასაწევრიანებლად, რაც ნიშნავს, რომ დამწყებ შემსრულებლებს მიეცემათ შანსი, საკუთარი შესაძლებლობები საზღვარგარეთ, მაღალი დონის კონკურსებსა და კონცერტებზე გამოავლინონ. საუკეთესოების გამოსავლენად შეიქმნა სპეციალური ჟიურიც.

საერთაშორისო ფონდი „სოს ტალანტი" უკვე ათი წელია გასცემს სტიპენდიებს ნიჭიერი შემსრულებლებისათვის და განაგრძობს ახალგაზრდა პიანისტების ხელშეწყობას. ფონდი „სოს ტალანტი" მიშელ მისონიმ დააარსა და ის უკვე ათი წელია არსებობს.

**ელისო ბოლქვაძე, პიანისტი:**

— „სოს ტალანტის" მიზანია, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტი გამოავლინოს, რომ მათ შემდგომში არაერთ საერთაშორისო კონკურსსა და ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა, გახდნენ პრესტიჟული სტიპენდიების მფლობელები. ჩვენ ძირითადად ცენტრალური მუსიკალური სკოლების წარმომადგენლებს შორის ვარჩევთ საუკეთესოებს.

***— რომელ ფესტივალებსა და კონკურსებში მიიღებენ მონაწილეობას ნიჭიერი ქართველი პიანისტები?***

— მათ ბევრ კონკურსსა თუ ფესტივალზე მოუწევთ საკუთარი ნიჭის წარმოჩენა, კერძოდ, ეს იქნება საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ეს ნამდვილად დროული და აუცილებელია ინიციატივაა. ქართველ პიანისტებს უნდა მიეცეთ შანსი, საკუთარი ნიჭიერება თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც წარმოაჩინონ. ფესტივალების გარდა, უკვე გადაწყვეტილია, რომ ნიჭიერი ქართველი პიანისტები სხვადასხვა მნიშვნელოვან მასტერკლასშიც ჩაერთვებიან. სახუმარო ნამდვილად არ არის, ფონდი „სოს ტალანტი" უკვე 10 წელია არსებობს და ამ წლების მანძილზე იგი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის სტიპენდიებს გასცემს.

# ყარამან ქუთათელაძე სასამართლოში ჩივის

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი ქართველი მხატვარი ყარამან ქუთათელაძე საკუთარი პოზიციების დათმობას არ აპირებს და ფიროსმანის „შავ ლომთან" დაკავშირებით სიმართლის დადგენას ცდილობს. მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად საქალაქო სასამართლოს მიმართოს.**

მხატვარს გადაწყვეტილი აქვს, ფიროსმანის ნახატი „შავი ლომი" სასამართლოს გზით დაიბრუნოს. მისმა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა და სარჩელში შეიტანა, რომელშიც დაცვის მხარე ითხოვს, ბათილად გამოცხადდეს ის მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ყარამან ქუთათელაძე ვიაჩისლავ ეფიმოვს „შავ ლომზე" უფლებამოსილებას ანიჭებს.

ყარამან ქუთათელაძე დარწმუნებულია, რომ პროცესს მოიგებს, რადგან 2002 წელს გაფორმებულ მინდობილობაზე მას ხელი მოტყუებით მოაწერინეს და თანაც მასში სოლიდური თანხა ნახსენები საერთოდ არ არის. ამ დოკუმენტის ბათილად ცნობის შემდეგ ყარამან ქუთათელაძე და მისი ადვოკატი უკვე ფიროსმანის ნახატის საქართველოში დაბრუნებას მოითხოვენ.

ნიკო ფიროსმანის შედევრის შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიიღო ოფიციალური წერილი რუსეთის კულტურის დაცვის სამინისტროსგან, სადაც განმარტებულია, რომ „შავი ლომი" მის ამჟამინდელ მფლობელს წლების წინ სრულიად კანონიერად აქვს შეძენილი და ეს ტილო რუსეთის საკუთრებაა. ოფიციალური წერილის მიღების შემდეგ კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ოფიციალური განცხადება გააკეთა და განმარტა, რომ ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად კანონიერად მოხდა ფიროსმანის „შავი ლომის" საქართველოდან გატანა.

— ის დოკუმენტი, რითაც სურათის ქვეყნიდან გატანა იყო შესაძლებელი, არსებობს, თუმცა ახლა ამ ფურცლის ნამდვილობა დგინდება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დადგინდეს, რამდენად კანონიერად მოხდა ფიროსმანის „შავი ლომის" საქართველოდან გატანა. ჩვენთან მოსულ წერილში ნათქვამია, რომ ფიროსმანის შედევრი ნოტარიალური თანხმობით პატრონმა გადასცა მეორე პიროვნებას, რომელმაც ნახატი გასხვისების უფლებით გაიტანა, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ფიროსმანის „შავი ლომი" რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ერთ-ერთ ანტიკვარულ სალონში გამოფინეს. „შავი ლომი" რენესანსის პერიოდის ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გვერდით მოხვდა. ნიკალას ტილოსთან ერთად, სალონში უცნობი მხატვრის ნამუშევარი „მადონა ყრმით", „ქრისტე" და რაფაელის მოსწავლის ჯულიანუ რომანოს ნამუშევრებია გამოფენილი. მხატვრის სახლში 30-იანი წლების რუსი მხატვრების, მათ შორის მიხაილ ნესტეროვის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. მოსკოვი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია გასული საუკუნის ბოლოს ფიროსიმანის ნახატის გატაცებასთან დაკავშირებით და მას შემდეგ იძებნებოდა. ამჟამინდელმა მფლობელი კი, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მოპარული ნახატი შეიძინა, თბილისში ჩამოვიდა და ტილოს მფლობელებისგან ნიმუში გამოისყიდა. „როსახრანკულტურის" ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვიქტორ პეტრაკოვის განცხადებით, მათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები აქვთ. მოსკოვში ის ნამდვილად ფიროსმანის შედევრად მიაჩნიათ.

მხატვარი ყარამან ქუთათელაძე ისევ ამტკიცებს, რომ ნახატი, რომელიც მოსკოვში იყო გამოფენილი, მისი ოჯახიდან 1993 წელს ყაჩაღურად გაიტაცეს. რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტები გაყალბებულია. ის კატეგორიულად უარყოფს მსგავს დოკუმენტზე ხელის მოწერას და მასზე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს.

— ფიროსმანის „შავი ლომის" შესახებ მოსკოვიდან გამოგზავნილი დოკუმენტი ფალსიფიცირებულია. ხელმოწერის გაყალბება დღეს არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, ფალსიფიცირებასთან გვაქვს საქმე. დოკუმენტში წერია, რომ მე ნამუშევარი, რომელიც მილიონებად არის შეფასებული, 2 ათას დოლარად დავთმე. ეს სასაცილოა. ნიკალას ნამუშევარი საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ არალეგალური გზით შეიძლებოდა გასულიყო, — ამტკიცებს ყარამან ქუთათელაძე.

მხატვარი აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან და საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას გამოძიებას პირადად მიაწვდის. ყარამან ქუთათელაძე უარყოფს „რუსახრანკულტურის" ხელმძღვანელის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნიკო ფიროსმანის „შავი ლომი" ამჟამინდელმა მფლობელმა ოფიციალურად ქუთათელაძეებისგან შეიძინა. მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა მედიას წარუდგინა საბუთები, რომლებზეც ყარამან ქუთათელაძის ხელმოწერა იყო. დოკუმენტი ეფიმოვს უფლებას აძლევდა, ტილო საქართველოდან გაეტანა.

ყარამან ქუთათელაძის თქმით კი, 1993 წელს, ნახატის გატაცების შემდეგ, არც ნახატი უნახავს და მათ ოჯახში არავინ მისულა ნახატის ოფიციალურად შეძენის სურვილით.

— ათასგვარი ხალხი მოსულა ჩვენთან ნახატთან დაკავშირებით, მაგრამ გატაცების შემდეგ ნახატი საერთოდ არ მინახავს და სრული აბსურდია იმაზე საუბარი, თითქოს ჩვენთან ვილაც იყო მოსული და ნახატი ოფიციალურად შეიძინა. თავი დავანებოთ ყველაფერს და ვიკითხოთ: თუ ასეთი პატიოსანი ხალხია, მაშინ რატომ მალავენ საკუთარ ვინაობას, ვის ხელშია ახლა ნახატი?! თუ ასეთი სერიოზული სალონია და ექსპოზიციებსაც ხშირად აწყობს, რატომ არ დაინტერესდა მისი ორგანიზატორი ნახატის წარმომავლობით. ნუთუ ასე გაუჭირდათ იმის გაგება, რომ ნახატი გატაცებამდე აპოლონ ქუთათელაძის ოჯახს ეკუთვნოდა?! — აცხადებს ყარამან ქუთათელაძე.

ქართველი სპეციალისტები და აპოლონ ქუთათელაძის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ნახატის ორიგინალობის დასადგენად ნამუშევარი ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა შეისწავლონ. ფიროსმანის „შავი ლომი" საქართველოდან 90-იან წლებში გაიტაცეს. შედევრი სამხატვრო აკადემიის ყოფილი რექტორის აპოლონ ქუთათელაძის საკუთრება გახლდათ და მისი ვაჟის ყარამან ქუთათელაძის სახელოსნოში ინახებოდა. ქუთათელაძეების ოჯახის თქმით, ტილო მათ ყაჩაღური გზით 21 წლის წინ წაართვეს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ეს ნამუშევარი ორიგინალი არ იყოს და მოსკოვში მისი ასლი ინახებოდეს. ნიკო ფიროსმანის ეს ნამუშევარი ყველაზე ძვირადღირებულია და 60 მილიონადაა შეფასებული. ფიროსმანის ნამუშევარი 1906 წელსაა შესრულებული. „შავ ლომზე" საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.

ნამუშევრის რუსეთში მოხვედრის შესახებ ვერსია საკმაოდ ბევრია. ქართველი სპეციალისტები ეჭვობენ, რომ 90-იან წლებში მოპარული ტილო საზღვარზე გაიტანეს და რუსეთში კერძო კოლექციონერს მიჰყიდეს. ამის შემდეგ კი ნამუშევარმა დღის სინათლე მოსკოვის საგამოფენო ცენტრში გამოფენისას ნახა. სკანდალის აგორების შემდეგ ფიროსმანის „შავი ლომი" მოსკოვის ანტიკვარულ სალონში გამოფენიდან მოხსნეს. როგორც გალერეის მფლობელებმა განაცხადეს, ის თავად მეპატრონემ გაიტანა, თუმცა მისი ვინაობა უცნობი რჩება. გაურკვეველია, არის თუ არა ეს ნამდვილად ნიკო ფიროსმანის მიერ შექმნილი ორიგინალი. ტილო სამი დღის განმავლობაში იყო გამოფენილი, რის შემდეგაც ტილოს მფლობელმა ეს ნამუშევარი უკან წაიღო. არ სახელდება მიზეზი, რატომ მოხსნა გამოფენიდან მფლობელმა ტილო. უცნობია ისიც, თუ საიდან ჩაუვარდა მას ხელში ეს ცნობილი ტილო.

ქართველი სპეციალისტები განმარტავენ, რომ ფიროსმანის შედევრის უტყუარობის დადასტურება მხოლოდ ქართველ ექსპერტებს ხელეწიფებათ. მათ გაცილებით მეტი შესადარებელი მასალა გააჩნიათ, რის საფუძველზეც „შავი ლომის" ორიგინალთან შედარება მოხდება.

ტილოს რუს მფლობელ ვიაჩესლავ ეფიმოვის განცხადებით კი მან შედევრის განკარგვისა და გასხვისების უფლება ქართველი მფლობელის ყარამან ქუთათელაძისგან 160.000 დოლარის სანაცვლოდ მიიღო. თავად ქართველი მხატვარი ამტკიცებს, რომ მისი ხელმოწერა გაყალბებულია. ეფიმოვი კი ქუთათელაძეს ტყუილის თქმაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სკანდალი ქართველმა მხატვარმა დამატებითი თანხების მიღების გამო ატეხა.

რუსულ საიტებზე უკვე გაჩნდა ვიაჩესლავ ეფიმოვის დედის განცხადებები, სადაც ის ამტკიცებს, რომ ფიროსმანის „შავი ლომის" შეძენა ყარამან ქუთათელაძემ მის შვილს თავად შესთავაზა. ინგა ვორონინა ქუთათელაძეს ტყუილის თქმაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მის შვილსა და ქუთათელაძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ქუთათელაძემ მის შვილს 47 ნახატი მიჰყიდა.

ამჟამად ფიროსმანის შედევრი ისევ მოსკოვშია. გამოფენიდან მოხსნილი „შავი ლომი" ექსპოზიციის დახურვის დღეს საგამოფენო სივრცეში ისევ დააბრუნეს, თუმცა მისი გასაყიდი ფასი გაორმაგდა. უკვე ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში ნიკალას ტილოს გაყიდვა გადაწყვეტილია. ქართული მხარე აცხადებს, რომ 2 მილიონ ევროდ შეფასებული შედევრის გაყიდვა სასამართლო პროცესის დასრულებამდე ყოვლად დაუშვებელია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- 130კვ.მ მიწა გრიგოლეთში, ზღვასთან ახლოს. ტელ.: 898-40-20-60.
- მცხეთის რაიონის სოფ. ბიწმენდში, თბილისიდან 25 კმ-ში, 1500 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, კარგ ადგილზე. ფასი: 1 კვ.მ – 20 დოლარი. ტელ.: 895-60-56-12.
- ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, კინოთეატრის წინ, კომერციული დანიშნულების მიწა, ტელ.: 877-12-23-99.

### ქირავდება

- შემიძლია დროებით დაგითმოთ აგარაკი მუხაწყაროში, ლისის ტბის ზემოთ. ტელ.: 95-73-31.

## განცხადებები

- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქნი მზია.

# 17-წლამდელებმა „პრეზიდენტის თასი“ სომხების ძლევით დაიწყეს

ვასილ მაისურაძის თავკაცობით, საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა, ყაზახეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი, რომლის სახელწოდებაცაა „პრეზიდენტის თასი“, გამარჯვებით დაიწყო.

ვასილ მაისურაძის გუნდის პირველი მეტოქე სომხეთის ნაკრები გახლდათ. გოლუხვი შეხვედრა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით — 5:3 დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში სომხებმა გახსნეს, მაისურაძის გუნდს უდიდესი სათამაშო უპირატესობა ჰქონდა. მეტოქეთაგან გოლები ვარდან ბაკალიანმა (8 წთ), ედგარ არუთინიანმა (68 წთ) და ჰამლეტ ასოიანმა (72 პენ) გაგვიტანეს. მატჩში დუბლი შეასრულა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა დავით მაკარაძემ. ის თერთმეტმეტრიანი კი, რომელიც ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა სომხების კარში გაიტანა, სწორედ მაკარაძემ გამოიმუშავა.

საქართველოს ნაკრებმა მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა. 72-ე წუთზე, უხეში თამაშისთვის მსაჯმა მოედნიდან ნიკა ჭანტურია გააძევა და ჩვენს კარში პენალტი დანიშნა.

საქართველოს ნაკრების შეადგენლობა ასეთია:

**საქართველო:** ადამია, გაბაძე, დვალი (ალ.გურეშიძე), გ.გურეშიძე, ჭანტურია, აბურჯანია (მელიქიძე), ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი (წილოსანი), კერძევაძე (როსტიაშვილი), მზევაშვილი (კაკაბაძე), მაკარაძე (ნიკურაძე)

**გოლები:** აბურჯანია (26), მაკარაძე (36, 43), ახვლედიანი (45), ჭეჭელაშვილი (50 პენ)

**გაძევება:** ჭანტურია (72)

მაისურაძის შეგირდები ჯგუფში მეორე შეხვედრას ხვალ თურქებთან გამართავენ, რომლებიც პირველ მატჩში უკრაინელებთან 1:2 დამარცხდნენ. 29 აპრილს კი საქართველო უკრაინას დაუპირისპირდება. ფინალური მატჩი ოცდაათ აპრილს შედგება და მასში ჯგუფების პირველადგილოსნები ითამაშებენ. აქვე გეტყვით, რომ მეორე ჯგუფში აზერბაიჯანის, ირანის, უზბეკეთისა და ყაზახეთის 17-წლამდელები გამოდიან.

ტურნირის საპრიზო ფონდი 20 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს.

# „მილანისთვის“ მთავარი იტალიის ჩემპიონატისა და თასის მოგებაა

„მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ სეზონის ბოლოსთვის გუნდის მიზნებზე ისაუბრა.

— არ ვიცი, საკმარისი იქნება თუ არა კვირას “ბოლონიას“ დამარცხება ჩემპიონობის გაფორმებისთვის. ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადავიტანოთ და დარჩენილ მატჩებში მინიმუმ 4 ქულა უნდა მოვიპოვოთ, რათა ტიტული დავისაკუთროთ. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნას, ვერაფერში დაგვადანაშაულებენ. რა თქმა უნდა, “ტოტენჰემის“ დამარცხება შეგვეძლო, მაგრამ მეტოქეს უფრო მეტად გაუმართლა. ახლა ამაზე ფიქრი უაზრობაა. მომავალ სეზონში უკეთ უნდა გამოვიდეთ. ესაა და ეს. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ორი რამ არის — იტალიის ჩემპიონატის და თასის მოგება. ამისკენ უნდა ვისწრაფოთ, — განაცხადა ალეგრიმ.

# 20-წლამდელები მზადებას სპარინგით იწყებენ

რაგბის საერთაშორისო საბჭოს 20-წლამდელთა ალაფის დაწყებამდე, საქართველოს ამავე ასაკის ნაკრები საფრანგეთის ჩემპიონის — „კლერმონის“ თანატოლებთან გამართავენ ამხანაგურ შეხვედრას.

„კლერმონ ოვერნი“ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ტიტულოვანი გუნდია. კლუბის კაცთა გუნდში ქართველი ლეგიონერი და საქართველოს 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული დავით ზირაქაშვილი თამაშობს. ესპუარებში კი ახალგაზრდა „ბორჯღალოსანი“ — ვიტო კოლელიშვილი.

კლერმონელები თბილისში 24 აპრილს, გამთენიისას ჩამოვიდნენ, სასტუმრო „ბაზალეთში“ დაიდეს ბინა და ინტენსიურად ემზადებიან 27 აპრილის სპარინგისთვის: ყოველდღიურად, 10:00 და 16:00 საათზე, შევარდენის სანაკრებო ბაზაზე ვარჯიშობდნენ. ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში ქართველი და ფრანგი ოცწლამდელების ერთობლივი ვარჯიშიც არის დაგეგმილი.

ქართველი 20-წლამდელები პაატა ნარიმანაშვილისა და ზურაბ ამონაშვილის ხელმძღვანელობით ინტენსიურად ემზადებიან მსოფლიო ალაფისთვის. 10 მაისს მათი 26-კაციანი შემადგენლობა დილომში მდებარე სასტუმრო „გემში“ შევა შეკრებაზე. სპარინგი „ლოკომოტივის“ სტადიონზე 16:00 საათზე შედგება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ზურაბ ჟვანია, ზურაბ ერისთავი, მერაბ მატკავა, ლევან თხელიძე, ზურაბ ძნელაძე, გიორგი აბრამიძე (ყველა აია), ირაკლი ჩომახიშვილი, გიორგი მისრიაშვილი, რევაზ ჟღენტი, ვანო გაბროშვილი (ყველა არმაზი), ლევან ჩილაჩავა, ტიტე მიქაუტაძე (ორივე ტულონი), ზაზა ნავროზაშვილი, გიორგი ჟღენტი, ბექა ბიწაძე, რამაზ ჯინაშვილი, ბახვა კობახიძე (ყველა არმია), ბექა ხიპაშვილი, ჯიმი ლამბაშიძე, გოდერძი ჭინჭარაული, უჩა მჭედლიშვილი (ყველა ლელო), ხვიჩა ბუჯიაშვილი, გიგა გაგოშვილი (ორივე ლოკომოტივი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი მარგიანი, ლევან გოგოლაშვილი (ყველა აკადემია), გიორგი ტყეშელიაძე, ლუკა კვარაცხელია, რატი გარუჩავა (ყველა ყოჩები), ჯაბა ბერაძე, სანდრო მინდიაშვილი (ორივე ხულიგანა)

# ვინ როგორ იხეირა ზამთრის სატრანსფერო სეზონისას

**ევროსეზონის დასრულებამდე ერთი თვეღა დარჩა. უკვე შესაძლებელი ხდება შევაფასოთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში სეზონის წინ თუ ზამთრის შუალედში განხორციელებული ტრანსფერები, ვინ გაამართლა და ვინ — ვერა.**

**ათეულის შერჩევისას ყველაფერია გათვალისწინებული, როგორ წარმოჩნდა ფეხბურთელი ახალ კლუბში, რამდენად მალე შეეგუა ახალ გარემოს, რა ოდენობის თანხა იყო მასში გადახდილი.**



**მე-10 ადგილი:** ნასერ ჩადლი (21 წლის), აპელდორნი-ტვენტე — 500 ათასი ევრო, 46 თამაში: 13 გოლი, 5 საგოლე პასი

ამ მაროკოელ-ბელგიელის შესახებ ამ სეზონის წინ არავინ არაფერი იცოდა, ჰოლანდიის მეორე დივიზიონის მოყვარულთა გარდა. წინა სამი სეზონი „აპელდორნის“ ღირსებას იცავდა, დივიზიონში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტალანტად ითვლებოდა, ის “აიაქსს“ ურჩიეს, მაგრამ ჰოლანდიურმა გრანდმა თავი შეიკავა, ჩადლი არასაკმარისად ნიჭიერად ჩათვალეს ამსტერდამულ კლუბში. “ტვენტემ“ გარისკა და გაუმართლა. ბელგიელმა ემირ ბაირამი ამოაგდო შემადგენლობიდან და ჰოლანდიური სეზონის მთავარი სიურპრიზიც გახდა. ამ სეზონში მან ორი ქვეყნის ნაკრებში ითამაშა, ჯერ მაროკოში, შემდეგ ბელგიაში (ბრიუსელში აზერბაიჯანელთა კარში გოლიც გაიტანა).

**მე-9:** კევინ პრინს ბოატენგი (24), პორტსმუთი-მილანი — 3 მლნ. ევრო, 29 თამაში: 3 გოლი, 3 პასი

“მილანი“ ამ ფეხბურთელზე უფლებებს “ჯენოასთან“ ერთად ფლობს. გერმანული ფეხბურთის აღზრდილმა განელმა თავი კარგად გამოიჩინა “როსონერის“ რიგებში და ამ გუნდის შუახაზის შეუცვლელი წევრი გახდა.

**მე-8:** შინჯი კაგავა (22), ოსაკა-დორტმუნდი - 350 ათასი ევრო, 25 თამაში: 10 გოლი, 2 საგოლე პასი

როდესაც აგდამის “ყარაბახის“ წინააღმდეგ “კაპიკებში“ შეძენილი ჭაბუკი იაპონელი ათამაშეს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, არავის ეგონა, რომ კაგავა ასეთი წარმატებული იქნებოდა კლუბში, რომელიც დღეს-ხვალ გერმანიის ჩემპიონი გახდება. იმ მატჩში მან დუბლი შეასრულა და დაიწყო...პლეიმეიქერის საოცარი სეზონი აზიის თასზე მიღებული ტრავმის გამო შეწყდა, თუმცა გაისად მისგან უკვე ძალიან ბევრს ელიან.

**მე-7:** მუსა სოვი (25), რენი-ლილი — თავისუფალი აგენტი, 39 თამაში: 22 გოლი, 1 პასი

გასულ სეზონში “ლილის“ პრობლემა შეტევაში მაღალი კვალიფიკაციის ფორვარდების დეფიციტი იყო. როცა რუდი გარსიამ “რენიდან“ სოვი გადმოიბირა, ყველას ელიმებოდა, სენეგალელს ხომ მთელ კარიერაში 20 გოლი არ ჰქონდა გატანილი, მაგრამ რადგან მასში ევროც არ გადაუხდიათ, აფრიკელის შეძენა არავის გაუპროტესტებია. ამ სეზონში სოვის ანგარიშზე უკვე 22 გოლია!

**მე-6:** რიკარდო კარვალიუ (32), ჩელსი-რეალი — 8 მლნ. ევრო, 42 თამაში: 3 გოლი

ჟოზე მოურინიოს საკვანძო ფიგურა “პორტუში“ და “ჩელსიში“, ახლა უკვე “რეალშიც“. არადა, თავიდან ძალზე ეპარებოდათ ეჭვი, რომ ვეტერანი 8 მილიონ ევროდ ღირდა. თუმცა ახლა რომ “რეალის“ დაცვა სტაბილურად ძლიერია, პორტუგალიელი მცველის დამსახურებაა.

**მე-5:** რაულ გონსალესი (33), რეალი-შალკე — თავისუფალი აგენტი, 43 თამაში: 19 გოლი, 6 საგოლე პასი

ბუნდესლიგის 30 ტურში 12 გოლი გაიტანა, ლამის მარტომ გაიყვანა “შალკე“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. მეტი რაღა ექნა “რეალის“ ლეგენდას, რომელიც მშობლიურმა კლუბმა თავიდან მოიშორა? ამ სეზონამდე ბევრი იზიარებდა მოსაზრებას, რომ რაულის ფეხბურთი მორჩა, მაგრამ ახლა გაგიკვირდებათ, ვისენტე დელ ბოსკემ რაული ესპანეთის ნაკრებშიც რომ დააბრუნოს? ან არ არის ის “ფურია როხაში“ საჭირო?

**მე-4:** ედინსონ კავანი (24), პალერმო-ნაპოლი — იჯარა, შემდეგ 16 მლნ. ევრო, 44 თამაში: 32 გოლი, 5 პასი

ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც “პალერმოს“ ისე რა გოლეადორმა სიცილიურ კლუბთან 2014 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება, თუმცა ზაფხულში ის იჯარით “ნაპოლიში“ გადავიდა, შემდეგ კი ნეაპოლელთა სრულუფლებიანი წევრი გახდა. ურუგვაელი ახლა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და “ოქროს ბუცისთვისაც“ იბრძვის.

**მე-3:** რაფაელ ვან დერ ვაარტი (28), რეალი-ტოტენჰემი — 9 მლნ ევრო, 30 თამაში: 12 გოლი “რეალისგან“ საკმაოდ იაფად ნაყიდი ჰოლანდიელი “უაით ჰართ ლეინზე“ შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა. მართალია, ბოლოსკენ ვან დერ ვაარტმა მოუკლო, ტრავმებიც მიეძალა, მაგრამ სწორედ მისი თამაშის წყალობით “ტოტენჰემი“ ინარჩუნებს ადგილს პრემიერლიგის ელიტაში.

**მე-2:** ხავიერ ერნანდესი (22), ჩივასი-მანჩესტერ იუნაიტედი — 9 მლნ ევრო, 38 თამაში: 18 გოლი “მანჩესტერი“ “ჩიჩარიტოს“ წლების განმავლობაში აკვირდებოდა, სანამ მექსიკური კლუბიდან შეიძენდა. შესაძლოა, ეს პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია. “ჩათვალეთ, რომ ჩვენ მოვიპარეთ ის“, — ამბობს კმაყოფილი ფერგიუსონი, როცა იხსენებს, რა თანხა გადაიხადა “მანჩესტერმა“ ხავიერ ერნანდესის სანაცვლოდ.

**1 ადგილი:** მესუთ იოზილი (22), ვერდერი-რეალი — 15 მლნ. ევრო, 45 თამაში: 10 გოლი, 18 საგოლე პასი

მადრიდის “რეალმა“ თუ ახლანდელი არა, ახლო მომავლის ლიდერი ნახევარმცველი 15 მილიონ ევროდ დაიბევა. ეს თანხა გერმანელმა უკვე გამოიმუშავა პირველივე ბრწყინვალე სეზონით. წლები გავა და იოზილი “რეალის“ ლეგენდაც შეიძლება გახდეს. მოკლედ, სეზონის საუკეთესო ევროპული შენაძენია.

ახლა კი იმ ათეულს ჩამოვთვლით, ვინც ვერ გაამართლა იმედები და ახალ კლუბებში ჩააგდეს სეზონი:

10. მარიო მანძუკიჩი (დინამო ზაგრები - ვოლფსბურგი, 8 მლნ. ევრო)
9. პედრო ლეონი (ხეტაფე - რეალი, 10 მლნ ევრო)
8. მარკო მოტა (უდინეზე-იუვენტუსი, იჯარა)
7. კრისტიან პოულსენი (იუვენტუსი-ლივერპული, 5,1 მლნ ევრო)
6. იოან გურკუფი (ბორდოლიონი, 22 მლნ. ევრო)
5. მიკაელ სილვესტრი (ვერდერი, თავისუფალი აგენტი)
4. ფერნანდო ტორესი (ლივერპული-ჩელსი, 57 მლნ. ევრო)
3. ედინ ჯეკო (ვოლფსბურგი-მანჩესტერ სიტი, 30 მლნ. ევრო)
2. ბებე (გიმარაეში-მანჩესტერ იუნაიტედი, 8 მლნ. ევრო)
1. ადრიანო (ფლამენგო-რომა, თავისუფალი აგენტი).

# „რეალის“ პრეზიდენტი მოურინიოს გაშვებას აპირებდა

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი 2010 წლის დეკემბერში გუნდის თავკაცის ჟოზე მოურინიოს გათავისუფლებას აპირებდა. პორტუგალიელის გაშვების მიზეზი “რეალის“ მისამართით გამოთქმული კრიტიკა შეიძლებოდა გამხდარიყო. მოურინიომ “რეალი“ “სევილიასთან“ (1:0) ესპანეთის ჩემპიონატის მატჩის შემდეგ გასახდელში გააკრიტიკა.

პერესსა და მოურინიოს შორის ურთიერთობა 29 ნოემბრის შემდეგ დაიძაბა, როდესაც “რეალმა“ “ბარსელონასთან“ 0:5 წააგო. 19 დეკემბერს “სევილიასთან“ მატჩის შემდეგ მოურინიომ გასახდელში განაცხადა, რომ “რეალს“ დიდ კლუბად არ მიიჩნევს.

ამის შემდეგ პერესმა მოურინიო სასაუბროდ მიიწვია, რომლის დროსაც ურთიერთგაგებას ვერ მიაღწიეს. თუმცა შემდეგ “რეალის“ პრეზიდენტმა მოურინიოს გაშვება გადაიფიქრა და პორტუგალიელის თავის პოსტზე დატოვება გადაწყვიტა, რათა გულშემატკივრებთან კონფლიქტი თავიდან აერიდებინა.

ესპანეთის ჩემპიონატის 2010-11 წლის სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე “რეალი“ მეორე ადგილს იკავებს და “ბარსელონას“ 8 ქულით ჩამორჩება. თუმცა ესპანეთის თასის ფინალში მადრიდულმა კლუბმა “ბარსელონა“ დაამარცხა. კატალონიელებთან კიდევ ორ მატჩს “რეალი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გამართავს. პირველი თამაში 27 აპრილს გაიმართება.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექბერნი-სიტი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 71:32 | 73 |
| 2.ჩელსი | 34 | 20 | 7 | 7 | 64:27 | 67 |
| 3.არსენალი | 34 | 18 | 10 | 6 | 67:36 | 64 |
| 4.სიტი | 33 | 17 | 8 | 8 | 51:30 | 59 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 14 | 13 | 6 | 49:41 | 55 |
| 6.ლივერპული | 34 | 15 | 7 | 12 | 51:39 | 52 |
| 7.ევერტონი | 35 | 11 | 14 | 9 | 47:42 | 47 |
| 8.ბოლტონი | 33 | 12 | 10 | 11 | 48:44 | 46 |
| 9.ნიუკასლი | 34 | 10 | 11 | 13 | 49:48 | 41 |
| 10.სანდერლ. | 35 | 10 | 11 | 14 | 41:52 | 41 |
| 11.ას. ვილა | 34 | 10 | 11 | 13 | 43:55 | 41 |
| 12.ვესტ ბრომ. | 34 | 10 | 10 | 14 | 49:64 | 40 |
| 13.ფულემი | 33 | 8 | 15 | 10 | 37:37 | 39 |
| 14.სტოკი | 33 | 11 | 6 | 16 | 40:43 | 39 |
| 15.ბირმინგემი | 33 | 8 | 14 | 11 | 33:49 | 38 |
| 16.ბლექბერნი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:55 | 35 |
| 17.უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 34:54 | 34 |
| 18.ბლექპული | 34 | 9 | 7 | 18 | 48:70 | 34 |
| 19.ვულვზი | 33 | 9 | 6 | 18 | 37:57 | 33 |
| 20.ვესტ ჰემი | 34 | 7 | 11 | 16 | 39:61 | 32 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-დონკასტერი ........ 2:2
ბარნლი-პორტსმუთი ........ 1:1
ბრისტოლი-ნოტინგემი ........ 2:3
ქპრ-ჰალი ........ 1:1
კრ.პალასი-ლიდსი ........ 1:0
ლესტერი-უოტფორდი ........ 4:2
მიდლსბრო-ქოვენთრი ........ 2:1
ნორვიჩი-დერბი ........ 3:2
პრესტონი-კარდიფი ........ 0:1
რედინგი-შეფილდი ........ 2:3
სკანთორპი-მილუოლი ........ 1:2
სუონსი-იფსვიჩი ........ 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სარაგოსა-ალმერია ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 28 | 4 | 1 | 88:17 | 88 |
| 2.რეალი | 33 | 25 | 5 | 3 | 79:26 | 80 |
| 3.ვალენსია | 33 | 19 | 6 | 8 | 57:41 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 33 | 17 | 6 | 10 | 51:39 | 57 |
| 5.ბილბაო | 33 | 16 | 3 | 14 | 51:47 | 51 |
| 6.ატლეტიკო | 33 | 14 | 7 | 12 | 54:44 | 49 |
| 7.სევილია | 33 | 14 | 7 | 12 | 51:49 | 49 |
| 8.ესპანიოლი | 33 | 14 | 3 | 16 | 40:46 | 45 |
| 9.ლევანტე | 33 | 12 | 6 | 15 | 37:46 | 42 |
| 10.მალიორკა | 33 | 12 | 6 | 15 | 35:45 | 42 |
| 11.ხიხონი | 33 | 10 | 11 | 12 | 31:37 | 41 |
| 12.სოსიედადი | 33 | 12 | 2 | 19 | 43:57 | 38 |
| 13.დეპორტივო | 33 | 9 | 11 | 13 | 27:41 | 38 |
| 14.ხეტაფე | 33 | 10 | 7 | 16 | 43:53 | 37 |
| 15.სარაგოსა | 33 | 9 | 9 | 15 | 32:45 | 36 |
| 16.მალაგა | 33 | 19 | 6 | 17 | 44:63 | 36 |
| 17.ოსასუნა | 33 | 9 | 8 | 16 | 37:41 | 35 |
| 18.რასინგი | 33 | 9 | 10 | 14 | 32:49 | 34 |
| 19.ერკულესი | 33 | 9 | 6 | 18 | 29:50 | 33 |
| 20.ალმერია | 33 | 5 | 11 | 17 | 32:58 | 26 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ჰერტა ........ 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

დიჟონი-აიაჩო ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ანჟი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| 2.ყუბანი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:4 | 12 |
| 3.ლოკომოტ. | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| 4.ვოლგა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:4 | 9 |
| 5.ცსკა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| 6.ანჟი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 9 |
| 7.კრასნოდარი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 9 |
| 8.როსტოვი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| 9.რუბინი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| 10.დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| 11.სპარტაკი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| 12.ტერეკი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:4 | 5 |
| 13.ნალჩიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| 14.კრ.სოვეტ. | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| 15.ამკარი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| 16.ტომი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-ინვერნესი ........ 0:3
ჰამილტონი-აბერდინი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 34 | 26 | 3 | 5 | 72:28 | 81 |
| 2.სელტიკი | 33 | 25 | 5 | 3 | 70:18 | 80 |
| 3.ჰართსი | 34 | 18 | 8 | 8 | 50:34 | 62 |
| 4.დანდი | 34 | 15 | 10 | 9 | 48:43 | 55 |
| 5.კილმანროკი | 34 | 13 | 8 | 13 | 49:44 | 47 |
| 6.მოზერველი | 34 | 13 | 6 | 15 | 39:46 | 45 |
| 7.ინვერნესი | 33 | 10 | 11 | 12 | 44:40 | 41 |
| 8.ჰიბერნიანი | 34 | 10 | 7 | 17 | 37:53 | 37 |
| 9.სტ.ჯონსონი | 34 | 8 | 10 | 16 | 18:42 | 34 |
| 10.აბერდინი | 34 | 9 | 5 | 20 | 35:55 | 32 |
| 11.სტ.მირენი | 34 | 7 | 8 | 19 | 32:55 | 29 |
| 12.ჰამილტონი | 34 | 3 | 11 | 20 | 21:56 | 20 |

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი-ოფი**

ბრიუგე-სტანდარდი ........ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-გრასჰოპერსი ........ 0:1

**შვეიცარია. თასი**

ციურიხი-ქსამაქსი ........ 1:1(6:7პ)

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ბეშიქთაში ........ 1:1

**დანია. სასლიგა**

სონდერიისკე-ოდენსე ........ 0:2
კოპენჰაგენი-სილკებორგი ........ 2:0
ჰორსენსი-ლუნგბიუ ........ 2:0
რანდერსი-ბრონდბიუ ........ 0:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-კალმარი ........ 2:0
იორებრო-ჰელსინბორგი ........ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი ........ 5:0
ბრანი-მიოლდე ........ 1:3
ვიკინგი-სტრომგოდსეტი ........ 0:1
ალესუნდი-სონგდალი ........ 1:0
სარპსბორგი-სტარტი ........ 2:0
სტაბეკი-ფრედრიკსტადი ........ 3:1
ტრომსო-ოდ გრელანდი ........ 2:1
რუსენბორგი-ვალერენგა ........ 2:0

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

მემფისი-სან ანტონიო ........ 104:86
სერიის ანგარიში ........ 3:1
დალასი-პორტლენდი ........ 93:82
სერიის ანგარიში ........ 3:2
დენვერი-ოკლაჰომა ........ 104:101
სერიის ანგარიში ........ 1:3

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

ტამპა ბეი-პიტსბურგი ........ 4:2
სერიის ანგარიში ........ 3:3
ლოს ანჯელესი-სან ხოსე ........ 3:4(ოტ)
სერიის ანგარიში ........ 2:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვინ არ ამოწმებს საწვავის ხარისხს

შორენა გონგლაძე



ეკოლოგია ყოველთვის მტკივნეული და მრავლისმომცველი თემაა. ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრისას ბევრი ისეთი საკითხი შეიძლება იქნეს წინა პლანზე წამოწეული, რომელიც რეალურად მეორეხარისხოვანი იყოს, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ და არა რომელიმე ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ერთმანეთზე გადაბრალება და ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტის დაუწერელი კანონები საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებულ და ბეჭედდასმულ კანონებზე მაღლა არანაირად არ შეიძლება იდგეს. ასეა თუ ისე, როდესაც საქართველოში ეკოლოგიაზე საუბარი იწყება, ათვლის წერტილი (ჩვენთვის გასაგები და საზოგადოებისთვის გაუგებარი მიზეზების გამო) ყოველთვის ნავთობპროდუქტები და ის „არაკეთილსინდისიერი" იმპორტიორები არიან, რომლებსაც თურმე, ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით, „ცუდი" საწვავი შემოაქვთ ქვეყანაში და ეს ცუდი საწვავი, არც მეტი, არც ნაკლები, ტყვიას შეიცავს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში კანცეროგენული რეაქციების აქტივაციას იწვევს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი, მოდით, პირდაპირ ვთქვათ — მწვანეზე გაყიდული ვაიექსპერტების დიაგნოზით, მაგრამ, რა ხდება რეალურად, შემოდის თუ არა მართლაც საქართველოში ტყვიის შემცველი საწვავი, ჰაერის დაბინძურების რა პროცენტი მოდის ნავთობპროდუქტებზე და რამდენად მოქმედებს ამ ყველაფერზე კომუნიზმის ყვავილობის ხანის დროინდელი ავტოტრანსპორტი, ამ და სხვა თემებზე ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ იობაშვილი** გვესაუბრება.

***— ბატონო ვახტანგ, მოდით, აგვიხსენით, არის თუ არა პირდაპირ კავშირში საწვავის ხარისხი ჰაერის დაბინძურებასთან?***

— როდესაც ეკოლოგიაზეა საუბარი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხელს იშვერენ ნავთობპროდუქტებისკენ. როდესაც ამბობენ, რომ საქართველოში იმპორტირებულ საწვავში არის ტყვია, ამასთან დაკავშირებით ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ არაერთხელ ჩავატარეთ ლაბორატორიული კვლევა, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ბოდიშების მოხდაც კი მოუწია, როდესაც ნახეს კვლევის შედეგები. მე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არანაირი ტყვიის შემცველი საწვავი საქართველოში არ შემოდის. თქვენ იცით, რომ საქართველოს მიღებული აქვს თავისი სტანდარტი. საქართველოს ბაზარზე არსებული ყველა იმპორტიორის საწვავი ჯდება საქართველოში არსებული სტანდარტების ფარგლებში. მინდა მოვუწოდო ჩვენი საზოგადოების წევრებს, ნუ ილაპარაკებენ გადაუმოწმებელი ფაქტებით. დაუსაბუთებელი ბრალდებები ძალიან ცუდად მოქმედებს როგორც საზოგადოებაზე, ასევე მათ იმიჯზეც. რაც შეეხება გზებზე წარმოქმნილ საცობებს, თუ კარგად დავფიქრდდებით, საქართველოში ძალიან ბევრი მოუწესრიგებელი მძღოლია, რაც ქმნის უამრავ პრობლემას და, საბოლოო ჯამში, ზარალი ადგება ეკოლოგიას. რაც შეეხება საწვავის თემას, მე ვაცხადებ, რომ საქართველოში არსებულ საწვავში არანაირი ტყვია არ არის.

***— თუმცა, ნუ დაგვავიწყდება მეორე პრობლემაც — რამდენად არის გამართული ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალების წვის სისტემა, ავტომობილის ტექდათვალიერების გაუქმება რამდენად ამძიმებს არსებულ პრობლემას?***

— ამ თემაზე არაერთხელ გვქონია პოლემიკა. ჩვენ ყოველთვის ვსვამთ ამ საკითხებს. ის, რომ ეკოლოგიას უნდა მივხედოთ, უდავოა და ის, რომ საქართველოში უნდა აღდგეს ტექნიკური დათვალიერება, ამას დიდი ხანია ვამბობთ. აუცილებელია, ეს პროცედურები გაიაროს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ, იმიტომ რომ საქართველოში დაწყებულია ავტოპარკის განახლება, მაგრამ, ამას უნდა წლები. უამრავი მოძველებული ტექნიკაა დღემდე ქვეყანაში. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოში აღარ არის ა-80 ტიპის საწვავი, აღარ არის ა-76 ტიპის საწვავი, ე-40 ტიპის დიზელი, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

***— აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საწვავი ვერ ჯდებოდა სტანდარტებში, რისთვისაც არაერთხელ გადაავადეს სტანდარტი. დღეს რა მდგომარეობაა?***

— ძალიან დიდი სამუშაოები იქნა გაწეული ამ მხრივ, მოხდა ქარხნის გადაიარაღება და დღეისათვის აზერბაიჯანული საწვავი თითქმის მიახლოებულია ევროსტანდარტებთან. როდესაც ვაკრიტიკებთ ვინმეს, ზოგიერთს, მგონი, დაავიწყდა, წინა ხელისუფლების დროს რას ვასხამდით, როგორი ხარისხის საწვავს მოვიხმარდით, რა რაოდენობას გვისხამდნენ. გაურკვეველი წარმოშობის საწვავი იყიდებოდა, ლაბორატორიული კვლევის ჩატარებაც კი შეუძლებელი იყო. ზოგიერთს დაავიწყდა, რომ ბაქოს სუმგაიტის ქიმიური ქარხნიდან საქართველოში შემოდიოდა ვითომდა თხევადი აირი, რომელიც იყო რაღაც ქიმიური ნივთიერება. მას მოჰყვებოდა დოკუმენტი, რომელშიც ეწერა, რომ არ შეიძლება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იქნეს გამოყენებული, მხოლოდდამხოლოდ უნდა იქნეს გამოყენებული კაუჩუკის წარმოებაში. ისმის კითხვა: სად იყო საქართველოში კაუჩუკი? ეს ყველაფერი ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. არ შეიძლება, არაფერი არ მოგწონდეს. ის, რაც კარგია, უნდა დაინახო.

***— ხარისხის კონტროლი ნებაყოფლობითია. რომელიმე კომპანია თუ ამოწმებს ხარისხს?***

— ჯერჯერობით შიგა შემოწმებას აწარმოებს მხოლოდდამხოლოდ კომპანია „სოკარი".

***— სხვა კომპანიები რატომ არ აწარმოებენ, რაღაცაში არ არიან დარწმუნებული თუ რა ხდება?***

— არ ვიცი, ალბათ, არ თვლიან საჭიროდ. ეს შემოწმება ნებაყოფლობითია და მათ ნებაზეა დამოკიდებული. ამას ვერავის დავაძალებთ. ჩვენ უკვე წარმოვადგენთ ევროპულ ქვეყანას. ეს ეხება ჩვენს ავტოგასამართ სადგურებს, საწვავის ცივილიზებულ მიწოდებას, მომსახურების დონეს. როგორ შეიძლება, ადამიანს არაფერი არ მოსწონდეს. ხომ არ არის აქ წარსულის, უკონტროლობის ნოსტალგია? ძალიან კარგად გვახსოვს, როგორ იკმაზებოდა საწვავი თბილისის ნავთობბაზებში და სად გამოდიოდა სუფთა საწვავი, არავინ იცის. ეს ყველაფერი ძალიან კარგად გვახსოვს. საქართველოში მოქმედი ყველა კომპანიის მიერ იმპორტირებული საწვავი ჯდება ქვეყანაში მოქმედ სტანდარტში.

***— კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალიან ხშირად ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ნავთობკომპანიებში სახელმწიფო ჩინოვნიკების წილებია...***

— მე ამაზე კითხვითვე გიპასუხებთ: ამდენს ლაპარაკობენ, ამდენ დროს ხარჯავენ. აღარ მოვიდა ის დრო, რომ ამ ადამიანებს დავუსვათ კითხვა: საიდან ამტკიცებენ? ამ ბრალდებებს უნდა დასაბუთება. თქვან, რა იციან კონკრეტულად ამ ბრალდებების ირგვლივ. ისინი ამაზე ვერ მიპასუხებენ, მე კი ვუპასუხებ: ეს ყველაფერი სისულელეა, კონსტიტუციით არავის ეკრძალება ბიზნესის წარმოება, მაგრამ, არაეთიკურია, როდესაც თავს უწოდებ ექსპერტს, პოლიტიკოსს და ლაპარაკობ ჭორის დონეზე, დაუსაბუთებლად. დაასახელონ კონკრეტული გვარები, კონკრეტული კომპანიები, გვაჩვენონ ის ფურცლები, სადაც ეს არის დაფიქსირებული, მაგრამ ვერავინ ვერაფერს გვაჩვენებს, იმიტომ რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ეს ყველაფერი იმ ვაიპოლიტიკოსების ფანტაზიის ნაყოფია, რომლებსაც უნდათ, რაღაცით საზოგადოების ყურადღება მიიქციონ. მაგალითად, „ეკო-ჯორჯია". როგორ უნდა დამაჯერონ, რომ კომპანია, რომელიც არ მონაწილეობს არანაირ შიდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში, ბერძნები ვიღაცას წილს უყოფენ? სისულელეა ეს ყველაფერი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს მას არაფერში სჭირდება. ეს არის აბსურდი, სასპეკულაციო თემა ოპოზიციისთვის და სხვა არაფერი. რაც მთავარია, ამ თემით ძირს უთხრიან სახელმწიფოებრიობას. ეს ის სექტორია, რომელიც ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს. თუ ამ სექტორს შეასუსტებენ, შეასუსტებენ სახელმწიფოს. არ გეჩვენებათ ეს ყველაფერი საეჭვოდ? ასეთი განცხადებების ვერც ერთი ავტორი ვერ ასაბუთებს თავის ნათქვამს.

# პრეზიდენტობის შემდეგ მედვედევი „კომსომოლკაში" იმუშავებს

გერა მამულაშვილი



ჟურნალისტებთან საუბრისას დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ სურს, მასწავლებელი გახდეს, ასევე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით" ანუ ჟურნალისტიკით დაკავდეს. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ნატალია ტიმაკოვამ ერთ-ერთ რადიოეთერში ასეთი ვარიანტი არ გამორიცხა.

„კომსომოლსკია პრავდამ" განმარტებისთვის პრეზიდენტის პრესსპიკერს კიდევ ერთხელ მიმართა...

***— ნატალია ალექსანდროვნა, ბევრს დაებადა კითხვა, როგორ უნდა გავიგოთ დიმიტრი მედვედევის განცხადება მის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ის სახელმწიფო სამსახურიდან წავა?***

— ვფიქრობ, პრეზიდენტმა ამის შესახებ ყველა თქვენგანს ნათლად უთხრა. მან თქვა, რომ როდესაც პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს, სურს, საკუთარი თავი სხვადასხვა სფეროში გამოსცადოს, მათ შორის, შესაძლოა, პედაგოგიკაშიც.

***— ასევე ჟურნალისტიკაშიც?***

— დიახ, ჟურნალისტიკაშიც.

***— თქვენი აზრით, როდის შეიძლება, ეს მოხდეს?***

— როდესაც თავის პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს.

***— ანუ ეს შეიძლება გაგრძელდეს ათი და თხუთმეტი წელიწადიც?***

— ამაზე შეგიძლიათ, თავად პრეზიდენტს ჰკითხოთ. მან საკუთარი აზრი საკმაოდ ნათლად გამოხატა.

***— თუკი ვისაუბრებთ ჟურნალისტიკაზე, მან შეიძლება უპირატესობა მხოლოდ „დოჟდს" მისცეს თუ ყურადღება შეიძლება მიაქციოს ისეთ გამოცემას, როგორიცაა „კომსომოლსკაია პრავდა"?***

— კარგი კითხვაა. პრეზიდენტმა თქვა, რომ მისთვის საინტერესოა მულტიმედიური ტექნოლოგიები. ამიტომ, თუ გაზეთი „კომსომოლსკია პრავდა", რადიო „კპ"... და ტელევიზია „კომსომოლსკაია პრავდა" მულტიმედიური ტექნოლოგიებია, მაშინ, რატომაც არა?

***— ანუ, უნდა ვიმედოვნებდეთ იმაზე, რომ დიმიტრი ანატოლიევიჩი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ სამუშაოდ „კომსომოლსკაია პრავდაში" წამოვა?***

— მე ამაზე ასე კატეგორიულად არ ვიტყოდი...

# რომის პაპს იაპონელი ბავშვის კითხვაზე პასუხი არა აქვს

გერა მამულაშვილი



რომის პაპი ბენედიქტ მეთექვსმეტე კათოლიკური ეკლესიის პირველი მეთაურია, რომელმაც სატელევიზიო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო და მაყურებლების კითხვებს პასუხი გასცა. მან ერაყის მთავრობას ქვეყნის ქრისტიანული მოსახლეობის დაცვისკენ მოუწოდა. პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან დასმული კითხვების უმეტესობა ადამიანურ ტანჯვებს შეეხებოდა.

ტრანსლაციის დროს ტელეეკრანი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. „სურათის" ერთ ნაწილში ვატიკანის ბიბლიოთეკაში მყოფი პაპი კითხვებზე პასუხს სცემდა, ხოლო მეორეში აჩვენებდნენ საკუთარ სახლებთან მდგომ ადამიანებს, რომლებიც კითხვებს სვამდნენ.

**„რთული კითხვები"**

პირველი კითხვა დასვა შვიდი წლის იაპონელმა გოგონამ, რომელმაც დამანგრეველი მიწისძვრისა და ცუნამების შედეგად ტრავმები მიიღო. პატარამ იკითხა, მან და სხვა ბავშვებმა რატომ უნდა განიცადონ შიშის გრძნობა.

— ძალადობა ღმერთისგან არასოდეს მოდის. ის სიკეთის ქმნაში არასოდეს გვეხმარება, მისი საშუალებები დამანგრეველია".

ბენედიქტ მეთექვსმეტე პასუხობს, რომ ის საკუთარ თავსაც სწორედ ასეთ კითხვას უსვამს.

— ჩვენ პასუხები არა გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ იესო ისევე იტანჯებოდა, როგორც თქვენ, — ამბობს რომის პაპი და ამატებს, რომ ლოცულობს ყველა იაპონელი ბავშვისთვის, რომლებიც ტანჯვას განიცდიან.

კიდევ ერთი კითხვა დასვა იტალიელმა ქალმა, ბიჭის დედამ, რომელიც დიდი ხნის მანძილზე კომაში იმყოფება.

მან იკითხა, აქვს თუ არა მის შვილს ჯერ კიდევ შენარჩუნებული სული, რაზეც პაპმა უპასუხა, რომ სული ბავშვის სხეულშია.

— ეს გვახსენებს გიტარას, რომლის სიმებიც დაწყდა და ამიტომ მასზე დაკვრა არავის შეუძლია. სხეულის ინსტრუმენტი ისეთივე მყიფეა და სულს არ შეუძლია დაკვრა, ანუ იმის თქმა, რომ ის ჯერ კიდევ სხეულშია, — ამბობს ბენედიქტ მეთექვსმეტე.

კოტდიუვარელმა მუსლიმანმა ქალმა რომის პაპს ჰკითხა, როგორ უნდა იცხოვროს კონფლიქტის პირობებში, რომელიც მის ქვეყანაში გრძელდება, რაზეც პონტიფიკოსმა მოიყვანა ქრისტეს, როგორც მშვიდობის იდეის მატარებლის მაგალითი.

— ძალადობა არასოდეს მოდის ღმერთისგან. მისი მეთოდები დამანგრეველია და ეს ბილიკი სიძნელეებისგან ვერ გვიხსნის, — ამბობს ის.

ერაყელმა ქრისტიანმა სტუდენტებმა მას ჰკითხეს, როგორ უნდა გაკეთდეს ისე, რომ ქრისტიანებმა ქვეყანა არ დატოვონ. ამაზე პონტიფიკოსმა უპასუხა, რომ აუცილებელია, რელიგიებს შორის დიალოგს ხელი შეეწყოს და ერაყის მთავრობას ქრისტიანული უმცირესობის დაცვისკენ მოუწოდა.

ბი-ბი-სის რომაელი კორესპონდენტი, დანკან კენედი, რომელიც პროგრამას უყურებდა, იუწყება, რომ პონტიფიკოსის კრიტიკოსები იმაზე ისაუბრებენ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ, იმისთვის, რომ რთული კითხვებისთვის თავი აერიდებინა, თავისთვის ხელსაყრელი ფორმატი შეარჩია.

მაგალითად, მაყურებლებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ეკლესიის წიაღში სექსუალურ სკანდალზე კითხვები დაესვათ, რამაც გასულ წელს ეკლესიის იმიჯზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

თუმცა, ვატიკანი ამ ეთერს განიხილავს, როგორც პირველ ნაბიჯს იმისკენ, რომ უფრო გასაგები და გამჭვირვალე ინსტიტუტი გახდეს, წარსულში დატოვოს ის ბრალდებები, რომ ეკლესიას არ შეუძლია, ღია იყოს იმ საკითხებში, რომლებიც სექსუალურ ძალადობაში ბრალდებებს უკავშირდება.

დღემდე ბენედიქტ მეთექვსმეტემ ჟურნალისტების მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე უპასუხა, რომლებიც მას პრესის წარმომადგენლებმა თვითმფრინავში უცხოური ვოიაჟებისას დაუსვეს.

პროგრამის წამყვანმა როზარიო კარელომ განაცხადა, რომ თავდაპირველად პროექტი „უგუნურ" საქმედ განიხილებოდა, თუმცა, მისმა ავტორებმა „პაპ ბენედიქტ მეთექვსმეტის სტილში რაღაც განსაკუთრებული დაინახეს, რამაც მათ, უკიდურეს შემთხვევაში, ამ იდეის შეთავაზების უფლება მისცა".

— ჩვენ შევთავაზეთ და ის დათანხმდა, — ამბობს როზარიო კორელო ჟურნალისტებთან საუბრისას.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 2. შენიშვნა, დამატებითი განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. ყაზახეთის დედაქალაქი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქერის პური; 16. ბედ-იღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ბერების სადგომი მონასტერში; 18. სვლის მიმართულება, გეზი.

**თარაზულად:** 1. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. ძველებური კაჟიანი თოფი; 7. მოხალისეთა ჯარი; 9. ბრიტანეთის ნაწილი; 10. გემის სამზარეულო; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 20. მსახიობის პატივსაცემად გამართული სპექტაკლი; 21. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი მოსასხამი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოპი; 2. ალალი; 3. იჯარა; 4. „სქური"; 5. ოპიუმი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. ტრედუნიონი; 11. ვაშლოვანი; 14. შაგალი; 15. მაჭარი; 16. ბამბა.

**თარაზულად:** 1. კობალტი; 4. სქოლიოზი; 7. პალაუ; 9. კანტი; 12. „მინდია"; 13. ჰილეა; 14. შანიძე; 17. „კალევი"; 18. პროკლამაცია; 19. ხითხითი; 20. ღალატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფუჟერი; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. ყინული; 6. პაპარაცი; 8. პიექსი; 11. სინაგოგა; 12. ვაკუუმი; 16. „სადია"; 17. ჰიჯრა; 18. არაყი.

**თარაზულად:** 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ესენცია; 10. ლუტეცია; 13. „სანტოსი"; 14. კიბუცი; 15. დალი; 19. „გულიაში"; 20. „რისლინგი"; 21. დელტაპლანი; 22. ტატამი.

# ვენაში ვერმახტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს ძეგლს დაუდგამენ



ავსტრიის დედაქალაქის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ჰიტლერის არმიიდან გამოქცეული ავსტრიელი ჯარისკაცების პატივსაცემად ძეგლის დადგმა აქვთ გადაწყვეტილი.

მუნიციპალიტეტს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ სად აღიმართება ეს ძეგლი. აქტივისტებს მისი გმირთა მოედანზე დადგმა სურთ, სამხედრო მემორიალის გვერდით.

სწორედ აქ მიმართა ადოლფ ჰიტლერმა გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიის შემდეგ ავსტრიელ ხალხს.

ორი წლის წინ ავსტრიის პარლამენტი ვერმახტიდან დეზერტირებული ავსტრიელი ჯარისკაცების რეაბილიტაციას დათანხმდა. მანამდე ისინი დამნაშავეებად იყვნენ აღიარებული. ჯარისკაცებისათვის ძეგლის დადგმას მხარი დაუჭირეს ავსტრიის სოციალისტურმა და მწვანეთა პარტიებმა, რომლებმაც ვენის მუნიციპალიტეტში კოალიცია შექმნეს.

მწვანეთა პარტიის ლიდერ დევიდ ელენზონის თქმით, მონუმენტის ნიმუშად შეიძლება იქცეს ანალოგიური მემორიალები, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქშია აღმართული.

ვერმახტის ავსტრიელ დეზერტირებს მრავალი ავსტრიელი კვლავინდებურად მოღალატეებად, მხდალებად მიიჩნევს. ძეგლმა და ამ საკითხთან დაკავშირებულმა დებატებმა მდგომარეობა შეიძლება შეცვალოს. არსებული ცნობების თანახმად, ვერმახტიდან დაახლოებით 15-20 ათასამდე ავსტრიელი ჯარისკაცი გაიქცა. მათი რიცხვი განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მიწურულს გაიზარდა.

# ნიუ იორკიდან ლოს ანჯელესამდე



ნიუ იორკელი ტაქსისტი მოჰამედ ალამი ამაყად უყვება მეგობრებს იმ შემთხვევის შესახებ, რომლის მსგავსიც ტაქსისტს მხოლოდ ერთხელ შეიძლება შეემთხვას — მანქანაში ჩამსხდარმა კლიენტებმა 5 ათასი დოლარი შესთავაზეს და ნიუ იორკიდან ლოს ანჯელესში წაყვანა სთხოვეს.

საინვესტიციო ბანკის თანამშრომლებმა ჯონ ბელიცკიმ და მისმა მეგობარმა დენ ვუბენმა განაცხადეს, რომ რაღაც მაგიურის ჩადენა სურდათ.

ნიუ იორკის ლა გუარდიას აეროპორტში მათ მოჰამედ ალამის ტაქსი შეაჩერეს და ამ დროს აზრად მოუვიდათ, რა მოხდება, მთელი ქვეყანა რომ ტაქსით გადავკვეთოთ.

ეს იდეა მოჰამედ ალამსაც მოეწონა და არც თანხით დარჩა უკმაყოფილო.

3939 კმ-ის გავლას მათ ექვსი დღე მოანდომეს. გზად ლას ვეგასშიც შეიარეს, სადაც ტაქსის მგზავრებმა 2 ათასი დოლარი მოიგეს.

ბელიცკი გზაში თვითერის საშუალებით ინტერნეტდღიურს ავსებდა.

22 აპრილს, ლას ვეგასის კაზინოში ორი ათასი დოლარის მოგების შემდეგ, მან დღიურში ჩაწერა: „ალამი დილაადრიან გავაღვიძე და თავზე ასდოლარიანები გადავაყარე".

ბელიცკი ნიუ ჯერსიში ცხოვრობს, ვუბენი — ნიუ იორკში, ქუინსის რაიონში. მათ ჯერ არ დაუზუსტებიათ, თუ რა ტრანსპორტით აპირებენ უკან დაბრუნებას.

მუჰამედ ალამის თქმით, ნიუ იორკისაკენ მგზავრობისას მანქანის მართვაში მას მეგობარი დაეხმარება.

აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთისაკენ მგზავრობის დროს მრიცხველი მუდმივად ჩართული რომ ჰქონოდა, მისი ტაქსი 17 ათას დოლარს დაწერდა.

***მოამზადა გენადი თვაურმა***

# იემენის პრეზიდენტი გადადგომას დათანხმდა



იემენის პრეზიდენტმა ალი აბდალა სალეჰმა ქვეყანაში ძალადობის ტალღის დაცხრომის მიზნით ძალაუფლების გადაცემის 30-დღიანი გეგმა მიიღო.

მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ქალაქ სანაში დაადასტურეს, რომ გეგმა, რომელიც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭომ შეიმუშავა, ბოლოს მოუღებს სალეჰის 32-წლიან მმართველობას.

ერთი თვის შემდეგ ხელშეუხებლობის პირობით ოპოზიციასთან შეთანხმების დადების შემდეგ სალეჰი ძალაუფლებას ვიცე-პრეზიდენტს გადასცემს.

იემენში ორთვიანი დაპირისპირების შედეგად 120-მდე ადამიანი დაიღუპა.

ოპოზიციის ლიდერმა იასინ ნომანმა სააგენტო რეიტერის ინტერვიუში ძალაუფლების გადაცემის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ აღნიშნა, რომ ეროვნული ერთიანობის მთავრობის საქმიანობაში მონაწილეობას არ მიიღებს.

პოზიცია ყოფილი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობის პირობას არ ეთანხმება.

გეგმის პირობების შესრულების შემთხვევაში სალეჰი ჰოსნი მუბარაქისა და ზინ აბიდინგ ბენომ ალის შემდეგ არაბული ქვეყნის მესამე ლიდერი გახდება, რომლებმაც ძალაუფლება მასობრივი გამოსვლების შედეგად დატოვეს.

მმართველი პარტიის წარმომადგენლების თქმით, პარტიის ხელმძღვანელობამ არაბული სახელმწიფოების საბჭოს პრეზიდენტის მიერ ამ ინიციატივის სრული მხარდაჭერის შესახებ აცნობა.

ამ გეგმის თანახმად, ერთი თვის შემდეგ პრეზიდენტმა სალეჰმა თავისი უფლებამოსილებები ვიცე-პრეზიდენტს უნდა გადასცეს, უნდა დანიშნოს გარდამავალი მთავრობის ლიდერი ოპოზიციის მხრიდან ორი თვის შემდეგ ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზების მიზნით.

გარდა ამისა, პრეზიდენტი, მისი ოჯახის წევრები და თანაშემწეები ხელშეუხებლობის პირობას იღებენ.

სანაში პარასკევს გაიმართა მასობრივი გამოსვლები, რომლის მონაწილეებმაც სალეჰს დაუჭირეს მხარი. ქვეყნის სამხრეთით ქალაქ ადენის ქუჩებში დაახლოებით იმდენივე დემონსტრანტი მისი მმართველობის წინააღმდეგ გამოვიდა.

იემენი არაბულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბია. საპროტესტო გამოსვლებამდე მის მთავარ პრობლემად ალ კაიდა და სეპარატისტები მიაჩნდათ. სალეჰის პოზიციები საბოლოოდ მას შემდეგ შეირყა, რაც მისი მთავრობის ერთდროულად რამდენიმე მინისტრმა სანაში დემონსტრაციის დახვრეტის პროტესტის ნიშნად გადადგომის პატაკი წარადგინა. აშშ-ის ხელისუფლები არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს მიერ წარმოდგენილ გეგმას მიესალმნენ. თეთრი სახლის განცხადება კონფლიქტის მონაწილეებს ხელისუფლების რაც შეიძლება სწრაფად გადაცემის უზრუნველყოფის მოწოდებით მიმართავს.

# ბუდისტურ მონასტერზე რეიდს ორი მოხუცი შეეწირა

ჩინეთიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სიჩუანის პროვინციაში, აბას რაიონში ბუდისტურ მონასტერზე ჩინეთის პოლიციის რეიდის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

როგორც ორგანიზაცია „საერთაშორისო კამპანია ჩინეთისათვის" წარმომადგენლები აცხადებენ, მოკლეს ორი ხანდაზმული მამაკაცი, რომლებიც შეეცადნენ, ბერების დაპატიმრებას წინ აღდგომოდნენ.

მიმდინარე წლის მარტში ერთ-ერთმა ბუდისტმა ბერმა ტიბეტის მიმართ ჩინეთის პოლიტიკის პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა.

აბას რაიონში ვითარება უკვე სამი წელია დაძაბულია. სამი წლის წინ ჩინეთის დასავლეთით მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა. უცხოელებს, მათ შორის ჟურნალისტებს ამ რაიონში არ უშვებენ, ამიტომ გავრცელებული ცნობების დამოუკიდებელი წყაროებით დადასტურება ვერ ხერხდება.

აშშ-ში ბაზირებული ორგანიზაცია საერთაშორისო მოძრაობა ტიბეტისათვის ამტკიცებს, რომ პოლიციის შეიარაღებულმა რაზმებმა კირტის ხუთშაბათს საღამოს შეუტიეს და 300-მდე ბერი დააპატიმრეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ბერების წაყვანის დროს პოლიციელებმა ცემა დაუწყეს მონასტერთან თავმოყრილ ადამიანებს, რის შედეგადაც ორი ტიბეტელი, რომლებიც 60 და 70 წლისა იყვნენ, დაიღუპნენ.

„მათ ხელ-ფეხი აქვთ მოტეხილი, ერთ ხანდაზმულ ქალს ფეხი სამ ადგილას აქვს მოტეხილი, პირში ალიკაპები ჩაუდგეს, რომ არ ეყვირათ" — თვითმხილველთა ეს სიტყვები „საერთაშორისო მოძრაობა ტიბეტისათვის" აქტივისტებმა გაავრცელეს.

# ყანდაარის ციხიდან 470 პატიმარი გაიქცა



ავღანეთში, ყანდაარის ციხიდან 470-მდე პატიმარმა მოახერხა გაქცევა. მათ რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძის გვირაბით უშველეს თავს.

ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, გვირაბი ციხის მიმდებარე ტერიტორიიდან გათხარეს. შედეგად ციხიდან თალიბანის მრავალი წევრი გაიქცა.

ავღანეთის ხელისუფლების თქმით, გაქცეულთა ერთი ნაწილი უკვე დაუბრუნეს ციხეს, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობის შესახებ არაფერი თქმულა.

ყანდაარის ციხიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში პატიმრების მასობრივი გაქცევა უკვე მეორედ აღინიშნა.

2008 წელს ციხის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე თავი აიფეთქა თვითმკვლელმა, რის შედეგადაც ასობით პატიმარი გაიქცა.

ნატოს ჯარებმა ავღანეთში განაცხადეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მზად არიან, ხელისუფლებს გაქცეული პატიმრების მოძებნაში დაეხმარონ.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 27 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ.ფ. "ჯორჯო არმანი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** მხ. ფილმი **"ჯაშუში"** (ე. მერფი) **01.50** მოამბე **02.10** ჩვენი ეზო **03.10** ევროპული არჩევანი **04.10** მხ. ფილმი **"ჯერი მაგუაიერი"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"დივებს ხოცავენ არა"** **01.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40** **ჩემპიონთა ლიგა.** **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ. ფილმი

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ლადო ათანელის ფონდის საქველმოქმედო კონცერტი **23.45** **შეგირდი** **00.15** პოკერი **01.00** მხ. ფ. **"შავი ორქიდეა"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **19.15** მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** **13.35** კონცერტი – თ. ჭოხონელიძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მანანა"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფ. "წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** სუფთა დაფა **00.45** მხ. ფილმი **"სიყვარულის ცეცხლი"** **01.30** კონცერტი – ანდრე რიე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე, სოფიო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ლამარა და გივი ქართველიშვილებს შვილის

**გიორგი (ტოტო) ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ჯუმბერ, ლევან, მურთაზ ჯიშკარიანები თანაუგრძნობენ ლამარა და გივი ქართველიშვილებს შვილის

**გიორგი (ტოტო) ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი

**ედემ საჯაია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 28 აპრილს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში.

ყოფილი საავთიაქო სამმართველოს თანამშრომლები, კოლეგები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დარგის საუკეთესო სპეციალისტი, ღრმად ერუდირებული, გულანთებული მამულიშვილი, შესანიშნავი პიროვნება, ამავე სამმართველოს ყოფილი უფროსი

**გურამ ხანთაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 26, 27 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 28 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: საბურთალოს ქუჩა №40.

სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თინათინ მარდალეიშვილის დედის

**ეთერ მარდალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.



გარდაიცვალა ქალბატონი

**ზინა ლაბარტყავა**

**— ბატონი ზაურ რეხვიაშვილის მეუღლე**

ბატონი ზაურის გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ არის გასული. მან თითქმის სამი წელი იავადმყოფა და მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდიდან არ მოშორებია, მის სასთუმალთან ალამ-ათენებდა მისი უერთგულესი ადამიანი, ქალბატონი ზინა. ამ ურთიერთმოსიყვარულე, შესანიშნავმა ადამიანებმა მართლაც რომ თითით საჩვენებელი ოჯახი შექმნეს, სადაც თავიანთ სამ ვაჟკაცთან ერთად ძმისშვილებსა და დისშვილებსაც გაატარებინეს სტუდენტობის დაუვიწყარი წლები.

ნიშანდობლივია, რომ ეს სულით სპეტაკი ადამიანი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღესრულა და, შესაბამისად, მისი ორმოცი ანუ ზეცად ამაღლება, ამაღლების დღესასწაულზე მოხდება 2 ივნისს, წინა დღეს, 1 ივნისს, საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლის დღეს კი, ბატონი ზაურის გარდაცვალებიდან ერთი წელი შესრულდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

პანაშვიდი: 26, 27 აპრილს, 16 საათზე.

გამოსვენება: 28 აპრილს, 12 საათზე.

დაკრძალვა: სოფელ რაჭისუბანში (ბოლნისის რაიონი).

***მადლიერი და გულწრფელად დამწუხრებული ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტლის მე-13 კორპუსის მეზობლები***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 აპრილი

აშშ დოლარი — 1,6447

ევრო —2,3896

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943

რუსული რუბლი — 0,0584

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 14-16, ღამით — §-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-1§, ღამით — 7-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 9-1

## ამინდის პროგნოზი 27 აპრილისთვის








## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი” შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ფერდი დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა ,აგზნებულობა,შიში,ნერვული აშლილობა,დაძაბულობა)-დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის-,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**შემადგენლობა:**

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI'') – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი”-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

წამალი „ფერდი“ იკითხეთ აფთიაქებში.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60


## 15-წლამდელთა ფრანგული წარმატება

საქართველოს 15-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ვიენას საერთაშორისო საფესტივალო ტურნირზე ათი მატჩიდან რვაში გამარჯვება მოიპოვა, ერთი ფრედ დაასრულა, მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ და ჯამში მეორე ადგილს დასჯერდნენ.



ჯგუფური ეტაპის შვიდ შეხვედრაში პატარა „ბორჯღალოსნებმა“ მხოლოდ ერთი ლელო გაუშვეს, ისიც სადებიუტო მატჩში და ფრანგული „ბურგუენი“ 17:7 დაამარცხეს. ამის შემდეგ ქართველმა მორაგბეებმა ჯგუფში ერთმანეთის მიყოლებით სძლიეს ფრანგულ „კოტ დიორს“ (39:0), ბელგიურ „ლიეჟს“ (29:0), ფრანგულ „კორსიკას“ (14:0), ლიტვის ნაკრებს (17:0), ფრანგულ „რასინგ ვიენს“ (45:0) და შვეიცარიულ „ჟენევას“ (36:0). ფრანგულ „ვიენ როდნის“ ფრედ, 5:5 ეთამაშნენ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ნახევარფინალში გავიდნენ და კიდევ ერთხელ, ამჯერად 12:0 სძლიეს „ბურგუენს“, ხოლო ფინალში ფრანგულ „ნიუი სენ ჟორჟთან“ ვერაფერს გახდნენ და იმავე ანგარიშით დამარცხდნენ.

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ახლა კუნძულ კორსიკაზე გადაინაცვლებს და 29 აპრილიდან ორ მაისამდე კიდევ ერთ საერთაშორისო შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა: ვახო გაბისიანი, გიგი ქურასბედიანი, ლაშა საჯაია (ყველა ჯიქები), ირაკლი სვანიძე, სოსო ჯაფარიძე (ორივე ხულიგანა), ლუკა იურინი, ბექა მაზმიშვილი, ვახტანგ ქავთარაძე, კოტე ახობაძე, სანდრო ილურიძე (ყველა აკადემია), თორნიკე მანაგაძე, შოთა არეშიძე, გივი ლოსაბერიძე (ყველა ქუთაისი), ნოე კოპალიანი, გიორგი ჯოხია, გუგა შავიძე (ყველა თსუ), დაჩი ელერდაშვილი (ვეფხვები), გიორგი ჯღამაია (ფოთი), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი).

მ. ჟ.

## ელისო ვირსალაძე მუსიკალურ ცენტრში დაუკრავს



ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე 27 აპრილს ჯანსუღ კახიძის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში კონცერტს გამართავს. ღონისძიების ორგანიზატორი თბილისის მუსიკალურ ცენტრთან ერთად კლასიკური მუსიკის განვითარების ცენტრია. კლასიკური მუსიკის კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართება.

ელისო ვირსალაძეს უკვე 9 წელია მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში არ დაუკრავს, ამიტომ განსაკუთრებული მოლოდინი აქვს. განახლებულ თბილისის მუსიკალურ დარბაზში ელისო ვირსალაძე შეკრებილი მსმენელისთვის ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს შეასრულებს. არჩევანი ამ კომპოზიტორის შემოქმედებაზე პიანისტმა იმიტომ შეაჩერა, რომ საკმაოდ დიდი ხანია მისი შემოქმედება არ აუჟღერებია.

— 9 წელია ამ დარბაზში არ დამიკრავს, მით უმეტეს, ახლა ორმაგი სტიმული მაქვს, იმიტომ რომ დარბაზი სრულიად განახლებულია. რაც შეეხება პროგრამას, ჩაიკოვსკი შევარჩიე — მეხუთე სიმფონია და კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მოლოდინი დიდი მაქვს, ამიტომ ხვალინდელ კონცერტს განსაკუთრებულად ველოდები, — განაცხადა ელისო ვირსალაძემ.

კლასიკური მუსიკის კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი — დირიჟორი ვახტანგ კახიძე, სოლისტი — ელისო ვირსალაძე. პროგრამაშია პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებები — სიმფონია №5, კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №1.

— ჩაიკოვსკის ნაწარმოებების შესრულება თავად ქალბატონმა ელისომ გადაწყვიტა. დიდი ხანია, ჩაიკოვსკი მას აღარსად შეუსრულებია. მას სურდა, დაეკრა საფორტეპიანო კონცერტი. იმისთვის, რომ ეს მთლიანობა არ დარღვეულიყო და ღონისძიება სტილისტურად გაერთიანებული ყოფილიყო, ჩვენ ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია დავუმატეთ, — განმარტა ვახტანგ კახიძემ.

ეკა ირემაშვილი


# 26 აპრილიდან

## „ახალი თაობის“ სააღდგომო საჩუქარი ახალ თაობას

## საყმაწვილო ბიბლიოთეკის 8 ტომეული

უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხის, მაგარი ყდით, ფერადად ილუსტრირებული. ძალიან დაბალ ფასად!
























გაზეთი და წიგნი ერთად — 2 ლარი


## ასტროპროგნოზი 27 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ნუ გადაიტვირთებით, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, რაღაც ძალიან გაგიხარდებათ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, დაჯილდოვდებით კიდეც. **თევზები** — ნუ ენდობით უცხო პირებს, ფრთხილად იყავით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოხალული, ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 4. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 5. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 6. რაიმე ღონისძიების დამფინანსებელი; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. ხმამაღალი ხვეწნა-მუდარა; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

**თარაზულად:** 1. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 4. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 7. თოფის წამალი; 9. მაჯისცემა; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. აკვიატებული შიში; 14. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. მთიანეთი აზიაში; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 20. უბანი თბილისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 2 | | | 3 | ■ | ■ | 4 | | 5 | | | | 6 | |
| | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| 7 | | | | | ■ | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| ■ | 8 | ■ | | ■ | 9 | | | 10 | | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | ■ | 11 | ■ | ■ | ■ | | ■ | 12 | | | | | | ■ |
| 13 | | | | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | 14 | | | | | | ■ |
| ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | 15 |
| ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | 16 | ■ | ■ | ■ | |
| 17 | | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | |
| ■ | | ■ | ■ | | ■ | 18 | | | | | | | | | | |
| ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | |
| 19 | | | | | | | ■ | | ■ | ■ | 20 | | | | | |